პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
კვირა
3
თებერვალი
№ 28
(17673)
ფასი
2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წოდება

ლენინური წელი იღებს ესტაფეტას

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების 1979 წლის შედეგები

საქართველოს სსრ მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ CCCP XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, 1979 წელს მიაღწიეს საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ ზრდას, გრძელდებოდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს გასულ წელს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1979 წელი პროცენტებით 1978 წელთან შედარებით
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	104,3
მრეწველობის პროდუქცია — სულ	107,2
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება	107,3
მოხმარების საგნების წარმოება	106,9
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	108,9
ძირითადი ფონდების ამოქმედება	88
კაპიტალური დაბანდებანი — სულ	103
მათ შორის სახელმწიფო	103
მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი	102
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	105,8
სოფლის მეურნეობაში (საზოგადოებრივი წარმოება)	110
მშენებლობაში	103,3
მოგება სახალხო მეურნეობაში (შესადარი ფასებით)	106
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	104,8
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	106,2
მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	103,5
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება	109
მოსახლეობის მიერ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდიდან მიღებული მისაცემლები და შეღავათები:	
სულ	105,3
ერთ სულ მოსახლეზე	104,9
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	105
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	110,2
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა	98

1979 წელს გრძელდებოდა **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი** სახალხო მეურნეობის ყველა დარგში: შექმნილია ახალი ტიპების მანქანების, მოწყობილობის, აპარატების, ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებების ნიმუშები — დაახლოებით 70 დასახელების სამრეწველო საწარმოებში დადგმულია მექანიზებული ნაკადური და ავტომატიზებული ხაზები — 160 კომპლექტზე მეტი კომპლექსურ მექანიზაციისა და ავტომატიზაციაზე გადაყვანილია უბნები, საამქროები, წარმოებები — 30-ზე მეტი შექმნილია აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები — 13 სისტემა მათ შორის ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები — 10 სისტემა დაინერგა გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები — დაახლოებით 24 ათასი

1979 წელს **ეროვნული შემოსავალი** გაიზარდა 490 მილიონი მანეთით და შეადგინა 7.293 მილიონი მანეთი. ეროვნული შემოსავლის დაახლოებით სამი მეოთხედი გამოყენებულია მოხმარებისათვის.

მრეწველობის პროდუქცია 1978 წელთან შედარებით გაიზარდა 559,3 მილიონი მანეთით და მიაღწია 8.360,5 მილიონ მანეთს (1975 წლის 1 იანვრისათვის არსებული საწარმოთა საბითუმო ფასებით).

სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 1979 წელს შეადგინა 2.182,4 მილიონი მანეთი, რაც 46,6 პროცენტით აღემატება საშუალო წლიურ წარმოებას მეცხრე ხუთწლედში.

სახალხო მეურნეობაში ამოქმედდა 1.603 მილიონი მანეთი საერთო ღირებულების ძირითადი ფონდები.

სახალხო მეურნეობაში **საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების** გზით დაიზოგა დაახლოებით 100 ათასი კაცის შრომა; შემცირდა საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობა.

I. მრეწველობა

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა შესრულდა ვადამდე. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 81,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.

წარმოების მატებამ 1978 წელთან შედარებით შეადგინა 7,2 პროცენტი.

მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით:	წარმოების მოცულობა 1979 წელს პროცენტებით 1978 წელთან შედარებით
ელექტროენერგეტიკა	110
სათბობის მრეწველობა	105
შავი მეტალურგია	99,5
ფერადი მეტალურგია	103
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	101
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	108
ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	100,3
საშენ მასალათა მრეწველობა	104
მსუბუქი მრეწველობა	110
კვების მრეწველობა	108
კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო საქონლის წარმოება	108

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5,8 პროცენტით; ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია წარმოების მატების ოთხ მეხუთედზე მეტი. მოგების გეგმა შესრულდა.

წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები.

1979 წელი პროცენტებით 1978 წელთან შედარებით	წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები	105	103
მათ შორის:		
ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროსი	107	108
ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროსი	104	99,9
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროსი	117	111
შავი მეტალურგიის სამინისტროსი	99,4	99,9
ქიმიური მრეწველობის სამინისტროსი	99,5	100
ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროსი	103	102
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროსი	104	102
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების სამინისტროსი	112	107
საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსი	104	102
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროსი	90	87
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროსი	101	100
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის სამინისტროსი	103	103
ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამინისტროსი	109	109
კვების მრეწველობის სამინისტროსი	104	97
თევზის მეურნეობის სამინისტროსი	94	91
საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები	108	107
მათ შორის:		
ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსი	103	102
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსი	99	97
მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსი	110	109
კვების მრეწველობის სამინისტროსი	108	108
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსი	105	106
დამზადების სამინისტროსი	103	102
მშენებლობის სამინისტროსი	104	103
სასოფლო მშენებლობის სამინისტროსი	110	105
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსი	110	108

(დასასრული მე-2 გვ.)

პავლე ნანიევი. ლ. გუსოვის ფოტო.

გვიხმობს შაბათობა

ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებში ხიდმშენებელთა რაზმებსა და ბრიგადებში გაჩაღდა აქტიური მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავი კომუნისტური შაბათობისათვის.

სამშენებლო უბნების კოლექტივები გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ „წითელი შაბათობისათვის“. მაგალითად, კომპლექსური სამეურნეოაგზარიანი ბრიგადის მშრომელებმა, რომლებსაც ვ. კარიაული ხელმძღვანელობს, გასული წლის ნოემბერში შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა და ახლა გადაწყვიტეს 19 აპრილისათვის წინა „წითელ შაბათობასთან“ შედარებით ერთნახევარჯერ მეტი საცხოვრებელი ბინები ააშენონ. მოტორისტმა ნ. ნოვიკოვამ პირობა დადო ამ დღეს ცვლის დავალება შეასრულოს 120 პროცენტით, მებეტონე ბ. ხიჯაკაძემ კი გადაწყვიტა დღიური ნორმას 85 პროცენტით გადაჭარბოს.

შაბათობისათვის მზადება, თქვა გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ი. გოგოხიამ, აისახება „ილვებში“ და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის გადაცემებში (საქინფორმი).

ერთსულოვნების ვითარებაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

რესპუბლიკაში დამთავრდა საარჩევნო კამპანიის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი: **საოლქო საარჩევნო კომისიებმა დაამთავრეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია.**

დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გაატარეს:

ქედის რაიონის № 424 **ქედის** საარჩევნო ოლქში სოფელ მერხისის ადგილობრივების მეჩაი **გულნაზი ხასანის ასული თურმანიძე,**

ოჩამჩირის რაიონის № 394 **ფოქვეშის** საარჩევნო ოლქში — სოფელ აგუბედის კოლმეურნეობა „აფსნი ქალაქის“ თავმჯდომარე **ილარიონ ჩაბუს ძე შაქაია,**

ოჩამჩირის რაიონის № 393 **ოჩამჩირის** მეორე საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი **ალექსანდრე ომანეზის ძე მოგსესიანი,**

ვანის რაიონის № 300 **ზეინდარის** საარჩევნო ოლქში — სოფელ ფერეთის ავიაციის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაი **გუგული ლავროსის ასული ქარჩიძე,**

ზესტაფონის რაიონის № 238 **კვალითის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი გრიგოლის ძე გვერდწითელი.**

გეგეჭკორის № 347 საარჩევნო ოლქში — სოფელ სერგიეთის ბიდიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის კომპლექსის მწველავი **დარეჯან ბადუს ასული გაწერელი,**

ახალქალაქის № 141 საარჩევნო ოლქში — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კონტორის მმართველი **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე პატეიშვილი,**

ქალაქ გორის **№ 119 მშვიდობის** საარჩევნო ოლქში — გორის ბამბიულის საწარმოო გაერთიანების მქსოველი **ციური გიორგის ასული გრიგალაშვილი,**

მაიაკოვსკის რაიონის **№ 302 დიმის** საარჩევნო ოლქში — სოფელ სარგიეთის ბიდიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის კომპლექსის მწველავი **დარეჯან ბადუს ასული გაწერელი,**

ახალქალაქის № 141 საარჩევნო ოლქში — სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კონტორის მმართველი **ვლადიმერ ალექსანდრეს ძე პატეიშვილი,**

ქალაქ გორის **№ 119 მშვიდობის** საარჩევნო ოლქში — გორის ბამბიულის საწარმოო გაერთიანების მქსოველი **ციური გიორგის ასული გრიგალაშვილი,**

მაიაკოვსკის რაიონის **№ 302 ბიდრო** ოლქის ჯარების შტაბის უფროსი — სარდლის პირველი მოადგილე **ვასილ კონსტანტინეს ძე კირილუკი,**

ქალაქ ფოთის **№ 355 ლენინის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბაკურ დავითის ძე გულუა,**

ქალაქ ფოთის **№ 356 ნავსადგურის** საარჩევნო ოლქში — ფოთის საკვანძო ნავსადგურის დოკერ-მექანიზატორი **ლუდუნი მელიტონის ძე გოგოლი,**

გულრიფშის რაიონის **№ 386 გულრიფშის** საარჩევნო ოლქში — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვალერიან ოსმანის ძე კობახია,**

ქალაქ სოხუმის **№ 367 ეშბას** საარჩევნო ოლქში — სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის ტექნიკური კონტროლის გაწყობილების კონტროლიორი **ქორდიკო მაყარის ასული ტყებუჩავა,**

გულრიფშის რაიონის **№ 385 წებელდის** საარჩევნო ოლქში — გაზეთ „სოვეტიკან კრასტანის“ რედაქტორი **აკოფ არამის ძე ბლრციანი,**

ქალაქ სოხუმის **№ 364 ბზიფის** საარჩევნო ოლქში — სოხუმის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნის ელექტრომონტაჟე **ლამარა პეტრეს ასული ნაჭყებია,**

ქალაქ გაგრის **№ 371 გაგრის** მეორე საარჩევნო ოლქში — გაგრის ჯიშთსანაშენი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ვასილ რომანის ძე ძნელაძე,**

სოხუმის რაიონის **№ 383 ბებლეთის** საარჩევნო ოლქში — სოხუმის რაიონის წურეთლის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **ხუსანა აშოტის ასული კალაიჯიანი,**

გალის რაიონის **№ 395 აჩიგვარის** საარჩევნო ოლქში — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების შტაბის უფროსი — სარდლის პირველი მოადგილე **ვასილ კონსტანტინეს ძე კირილუკი,**

ქალაქ ფოთის **№ 355 ლენინის** საარჩევნო ოლქში — საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ბაკურ დავითის ძე გულუა,**

ქალაქ ფოთის **№ 356 ნავსადგურის** საარჩევნო ოლქში — ფოთის საკვანძო ნავსადგურის დოკერ-მექანიზატორი **ლუდუნი მელიტონის ძე გოგოლი,**

გულრიფშის რაიონის **№ 386 გულრიფშის** საარჩევნო ოლქში — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვალერიან ოსმანის ძე კობახია,**

ქალაქ სოხუმის **№ 367 ეშბას** საარჩევნო ოლქში — სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნის ტექნიკური კონტროლის გაწყობილების კონტროლიორი **ქორდიკო მაყარის ასული ტყებუჩავა,**

გულრიფშის რაიონის **№ 385 წებელდის** საარჩევნო ოლქში — გაზეთ „სოვეტიკან კრასტანის“ რედაქტორი **აკოფ არამის ძე ბლრციანი,**

ქალაქ სოხუმის **№ 364 ბზიფის** საარჩევნო ოლქში — სოხუმის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხნის ელექტრომონტაჟე **ლამარა პეტრეს ასული ნაჭყებია,**

ქალაქ გაგრის **№ 371 გაგრის** მეორე საარჩევნო ოლქში — გაგრის ჯიშთსანაშენი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ვასილ რომანის ძე ძნელაძე,**

სოხუმის რაიონის **№ 383 ბებლეთის** საარჩევნო ოლქში — სოხუმის რაიონის წურეთლის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე **ხუსანა აშოტის ასული კალაიჯიანი,**

გ

ლენინური წელი იღებს ესტაფეტას

საქართველოს სსრ ცენტრალური
სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქი

აფხაზეთის ასსრ	107	108
აჭარის ასსრ	106	105
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	106	104
ქალაქები		
თბილისი	107	106
სოხუმი	105	105
ბათუმი	107	105
ცხინვალი	106	105
ქუთაისი	106	105
რუსთავი	101	100,6
გაგრა	96	99
გორი	100,7	100,1
ზუგდიდი	105	110
ფოთი	97	96
ტყვარჩელი	117	114
ტყიბული	103	96
წყალტუბო	111	109
ქიათურა	108	107

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს რესპუბლიკის მსუბუქი, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის, დამზადების, მშენებლობის სამინისტროებმა, საქართველოს უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოებებმა, „საქმთავარენერგოს“ მთავარმა საწარმოო გაერთიანებამ, „საქნავთობის“, „საქქვანახშირის“, „საქსამთოქიმმრეწვის“, „ელექტროაპარატის“, „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებებმა, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვამ“, ჭიათურის სამთამადნო კომბინატმა, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ და ბევრმა სხვამ.

გაუჯობესდა პროდუქციის წარმოებისა და ხარისხის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. შემცირდა სათბობის ხვედრითი ხარჯი ელექტროსადგურებში, გაიზარდა მბრუნავი ღუმელებისა და წისქვილების საათობრივი მწარმოებლობა ცემენტის მრეწველობაში.

ათვისებულია და დაიწყო 200-ზე მეტი დასახლების ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის სერიული გამოშვება. წარმოებიდან მოიხსნა 14 დასახელების მოძველებული კონსტრუქციის მანქანები, აპარატები, მოწყობილობა, ხელსაწყოები და ნაწარმი.

ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა 1,7-ჯერ და შეადგინა 18 პროცენტი სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში. წლის დამლევისათვის 2 ათას ნაწარმს მინიჭებული ჰქონდა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებამ შეადგინა:	წარმოებულია 1979 წელს	1979 წელი პროცენტით 1978 წელთან შედარებით
ელექტროენერგია, მილიონი კილოვატსაათი	13742	109
მანგანუმის მადანი — ათასი ტონა	2765	129
ფოლადის ლილები:		
მილიონი მეტრი	27,7	98
ათასი ტონა	534	102
მინერალური სასუქები, ათასი ტონა:		
პირობითი ერთეული	645	90
მასაზრდოებელ ნივთიერებათა 100-პროცენტიან შემცველობაზე გადაანგარიშებით	132	90
ქიმიური ბოჭკო და ძაფი, ათასი ტონა	16,5	101
ცვლადი დენის ელექტროძრავები, ათასი კილოვატი	107	104
ლითონსაჭრელი ჩარხები:		
ცალი	3906	94
მილიონი მანეთისა	33,5	103
სამგზისტრალო ელმავლები:		
ცალი	127	99,2
ათასი ცხენის ძალა	925	100
სატვირთო ავტომობილები, ათასი ცალი	20,6	100,2
ავტომობილების სათადარიგო ნაწილები, მილიონი მანეთისა	22,5	106
ქაღალდი, ათასი ტონა	39,7	108
ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, ათასი კუბური მეტრი	1710	115
შიფერი, მილიონი პირობითი ფილა	62,2	95
მოსაპირკეთებელი მოჭიქული კერამიკული ფილები (საკედლე), ათასი კვადრატული მეტრი	774	100,5
წინდა, მილიონი წყვილი	26,6	114
ტრიკოტაჟის საცვალი, მილიონი ცალი	24,6	110
ზედა ტრიკოტაჟი, მილიონი ცალი	17,8	116
ტყავის ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	15,5	102
ხორცი, ათასი ტონა	75,4	99,4
ძეხვეული, ათასი ტონა	28,5	102
ცხიმიანი ყველი, ათასი ტონა	18,4	93
კონსერვი, მილიონი პირობითი ქილა	436	116
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	10,3	71
მინერალური წყალი, მილიონი 0,5-ლიტრიანი	391	86
მარგარინი, ათასი ტონა	32,3	101
კარაქი, ტონა	1365	104
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, ათასი ტონა	165	103
ნატურალური (ხარისხოვანი) ჩაი, ათასი ტონა	43,2	103
ყურძნის ღვინო — მილიონი დეკალიტრი	19,9	106
შამპანური, მილიონი ბოთლი	16,5	92
პაპიროსი და სიგარეტი, მილიარდი ცალი	17,9	93
ავეჯი, მილიონი მანეთისა	92,3	103

გადაჭარბებით შესრულდა ელექტროენერგიის წარმოების, ნავთობის, ქვანახშირის, მანგანუმის მადნის მოპოვების, თუჯის, ფოლადის, ქიმიური ბოჭკოს, სატვირთო ავტომობილების, ქაღალდის, ასაწყობი და რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, აბრეშუმის ქსოვილის, წინდების, ტრიკოტაჟის საცვლისა და ზედა ტრიკოტაჟის, ტყავის ფეხსაცმლის, ძეხვეულის და სხვა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა.

თუმცა მრეწველობის მუშაობაში მთლიანად დადებითი შედეგებია მიღწეული, ცალკეულმა საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დადგენილი დავალებები.

მთლიანად ვერ შესრულდა შავი ლითონის ნაგლინის, მინერალური სასუქების, კაპროლაქტამის, ლითონსაჭრელი ჩარხების, ელმავლების, ცემენტის, ცალკეულ სახეობათა ქსოვილის, ხორცისა და ზოგიერთი სხვა ნაწარმის დამზადების წლიური გეგმა.

საქართველოს სსრ საშინ მასალათა, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა, საკავშირო დაქვემდებარების მთელმა რიგმა საწარმოებმა სრულად ვერ უზრუნველყვეს მოსახმარებლისათვის პროდუქციის მიწოდება დადებული ხელშეკრულებებითა და განწესების შესაბამისად.

ცალკეულმა სამინისტროებმა მთლიანად ვერ შეასრულეს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმის დავალებანი.

II. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ეყრდნობიან გაზრდილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, გასული წლის ამინდის ძნელ პირობებში უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გადიდება 694 მილიონი მანეთით 1971-1975 წლების საშუალო წლიურ დონესთან შედარებით და 288 მილიონი მანეთით 1976-1978 წლების დონესთან შედარებით.

მიწათმოქმედების პროდუქტების წარმოებამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა (ათასი ტონა).	საშუალოდ წელიწადში 1971-1975 წლები	1976-1978 წლები	1979 წ.
მარცვლეული	714,0	717,8	640,3
კარტოფილი	236,7	318,5	443,3
ბოსტნეული	372,6	500,5	566,4
ხილი და კენკრა (ციტრუსის გარდა)	354,6	434,0	470,5
ციტრუსი	83,3	182,1	302,9
ყურძენი	428,7	602,6	780,0
ჩაის ფოთოლი (ხარისხოვანი)	295,7	400,2	454,3

1979 წელს ხორბლის მთლიანმა მოსავალმა შეადგინა 215,3 ათასი ტონა, სიმინდისამ — 307,3 ათასი ტონა. სახელმწიფოს მიეყიდა 169,7 ათასი ტონა მარცვლეული; მარცვლეულის დამზადების გეგმა შესრულდა. მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოიწიეს სიღნაღის, ახალქალაქის, ლაგოდეხის, გურჯაანის, ასპინძის, აბაშის, ბოგდანოვკისა და ზოგიერთმა სხვა რაიონმა. მათ მნიშვნელოვანი გადაკარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმები.

1979 წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა ჩაის რეკორდული მოსავალი მოიწიეს. სახელმწიფოს ჩაბარდა 454, 3 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 99,3 ათასი ტონით აღემატება მეათე ხუთწლიანი გეგმის დავალებას 1980 წლისათვის; ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიურ გეგმას გადაჭარბა რესპუბლიკის ყველა ჩაის მწარმოებელმა რაიონმა, გაუჯობესდა სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჩაის ფოთლის ხარისხი.

მოწეულია ციტრუსის არნახული მოსავალი. 1980 წლის 1 იანვრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 1979 წლის მოსავლის 263 ათასი ტონა ციტრუსი, რაც 92 ათასით, ანუ 54 პროცენტით აღემატება წინა წელს მიყიდულ რაოდენობას.

აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარეს 166 ათასი ტონა ციტრუსი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა — 46,6 ათასი ტონა, მახარაძის რაიონისამ — 34,4 ათასი ტონა, ლანჩხუთის რაიონისამ — 9,3 ათასი ტონა.

1979 წელს დამზადებულია 577,4 ათასი ტონა ყურძენი; შესრულდა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმები საგარეჯოს, ახმეტის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის რაიონებმა.

1979 წელს კარტოფილის მთლიანმა მოსავალმა 84,8 ათასი ტონით გადაჭარბა 1978 წლის მოსავალს. სახელმწიფოს მიეყიდა 189,2 ათასი ტონა კარტოფილი; სახელმწიფოსთვის კარტოფილის მიყიდვის გეგმა 122 პროცენტით შესრულდა. წარმატებით იშრომეს წალკის, ბოლნისის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, დმანისისა და გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს რაიონების მეკარტოფილეებმა.

1980 წლის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის უზრუნველყოფისათვის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დიდ მუშაობას ეწევიან; 166,7 ათას ჰექტარზე დაითესა სამარცვლე საშემოდგომო კულტურები, მზრალად მოიხნა 178,8 ათასი ჰექტარი ანუ გეგმის 103 პროცენტი.

რესპუბლიკის მეურნეობები უზრუნველყოფილი არიან საგაზაფხულო კულტურების თესლით, აქედან მეტი წილი სათესი კონდიციისაა; კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მასობრივი შეკეთება, მინდვრად გააქვთ მინერალური და ორგანული სასუქები, დიდ ფართობებზე მოეწყო ტენსაგროვებელი რწყვა.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობამ შეადგინა:
(ათასი სული)

1 იანვრისათვის	1979 წელი	1980 წელი
ყველა კატეგორიის მეურნეობანი		
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1535,7	1547,7
აქედან ძროხა	597,8	607,0
ღორი	883,3	940,4
ცხვარი და თხა	2029,9	2033,6
კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები		
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	672,9	673,5
აქედან ძროხა	189,0	190,6
ღორი	388,8	424,6
ცხვარი და თხა	1302,1	1304,6
მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობები		
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	862,8	874,2
აქედან ძროხა	408,8	416,4
ღორი	494,5	515,8
ცხვარი და თხა	727,8	729,0

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:	საშუალოდ წელიწადში 1971-1975 წწ.	1976-1978 წწ.	1979 წ.
ხორცი (ნაკლავის წონა), ათასი ტონა	122,8	137,3	138,5
რძე, ათასი ტონა	526,7	605,4	642,0
კვერცხი, მილიონი ცალი	479,6	590,6	638,5
მატყლი, ტონა	5145	5457	5925

1979 წელს 1978 წელთან შედარებით კვერცხის, მატყლის, ხორცისა და რძის წარმოება რამდენადმე გაიზარდა.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:	საშუალოდ წელიწადში 1971-1975 წწ.	1976-1978 წწ.	1979 წ.
პირუტყვი და ფრინველი ათასი ტონა:			
ცოცხალი წონა	102,1	136,1	143,3
ნაკლავის წონაზე გადაანგარიშებით	64,0	85,0	91,4
რძე, ათასი ტონა	197,9	249,7	266,3
კვერცხი, მილიონი ცალი	239,8	363,6	450,2
მატყლი (ჩასათვლელი წონა), ტონა	5571	5664	5840

შესრულდა კვერცხის შესყიდვის დადგენილი მოცულობა. გადაჭარბებით შესრულდა პირუტყვისა და ფრინველის, რძის შესყიდვის მოცულობა.

კოლმეურნეობების მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 473,3 მილიონი მანეთი და 1971-1975 წლების საშუალო წლიურ ოდენობასთან შედარებით 129,7 მილიონი მანეთით გადიდდა.

სოფლად გრძელდებოდა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციის შემდგომი განვითარება. 1980 წლის დამდეგისათვის იყო 300 სამეურნეობათაშორისო საწარმო და ორგანიზაცია.

ამასთან ყოველთვის საკმარისად ეფექტიანად როდი იყენებდნენ სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს. კვლავ შეიმჩნეოდა ნაკლოვანებანი ტექნიკის შენახვისა და გამოყენებაში. შენახვისას, გადაზიდვისას და მინდვრებში გატანისას ხდებოდა მინერალური სასუქების დაკარგვა, არ შესრულდა მეცვე ნიადაგების გაკირიანების გეგმა. ნელი ტემპით იქმნება კულტურული სათიბები და საძოვრები. საკვების დამზადების ვადებისა და ტექნოლოგიის დარღვევის შედეგად ხდება მათი მნიშვნელოვანი დაკარგვა და ხარისხის გაუარესება.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კაპიტალურმა დაბანდებებმა სამუშაოთა მთელი კომპლექსის მიხედვით შეადგინა 445,4 მილიონი მანეთი, მათ შორის სახელმწიფო დაბანდებამ — 331,2 მილიონი და კოლმეურნეობებისამ — 114,2 მილიონი მანეთი. სამელიორაციო მშენებლობაში დაბანდებულია 113,6 მილიონი მანეთი.

სოფლის მეურნეობისათვის მიწოდებულია 2.525 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, 3076 ტრაქტორი 186,1 ათასი ცხენის ძალა კრებსითი სიმძლავრისა, 202 მარცვალასაღები კომბაინი, 3977 ტრაქტორის გუთანი, 988 კულტივატორი, 733 სათესელა, 288 სილოსასაღები კომბაინი, 645 ტრაქტორის სათიბელა, 339 საწნეხ-ამკრები მანქანა, 78 დასაწვიმებელი მანქანა და დანადგარი, ბევრი სხვა მანქანა და მექანიზმი. შესრულდა მეტ წილ სახეობათა ტექნიკის მიწოდების გეგმა.

სოფლის მეურნეობამ მიიღო 796,6 ათასი ტონა მინერალური სასუქები და ათასი ტონა ქიმიური საკვები დანამატი. მთლიანად არ შესრულდა მინერალური სასუქების მიწოდების გეგმა.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებში ტყეთაღდგენის სამუშაოები მოეწყო 28,1 ათას ჰექტარზე, აქედან 8,1 ათას ჰექტარ ფართობზე — ტყის რგვა და თესვა.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) გადაჭარბებით შეასრულა ტვირთბრუნვის, ტვირთის გაგზავნისა და ვაგონების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობის წლიური გეგმები. 1978 წელთან შედარებით ტვირთბრუნვა გაიზარდა 2 პროცენტით, ტვირთის გაგზავნა — 6 პროცენტით, ვაგონების საშუალო სადღეღამისო მწარმოებლობა — 9 პროცენტით.

ტვირთბრუნვამ შეადგინა 14 მილიარდი ტონაკილომეტრი, ტვირთის გაგზავნამ — 40 მილიონი ტონა.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტზე ტვირთბრუნვამ შეადგინა 2153,3 მილიონი ტონაკილომეტრი, რაც 7,9 პროცენტით მეტია ვიდრე 1978 წელს. გადაჭარბებით შესრულდა მგზავრთბრუნვისა და ტვირთბრუნვის გეგმა. მგზავრთბრუნვა 1979 წელთან შედარებით 4,7 პროცენტით გაზიდდა. საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ავტობუსებმა მგზავრთა გადაყვანის გეგმა 103,8 პროცენტით შეასრულეს, მგზავრთბრუნვისა — 101,8 პროცენტით. მუუბეკი ტაქსმოტორების ფასანი გარბენის გეგმა 101,3 პროცენტით შესრულდა; ფასანი გარბენა მარშანდელთან შედარებით 13,7 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნომ შეასრულა ტვირთზიდვის გეგმა შიდა და საზღვარგარეთ ნაოსნობაში; მგზავრთა გადაყვანის გეგმა სანავსადგურო ფლოტმა შეასრულა 114,1 პროცენტით და 1978 წელთან შედარებით 16,6 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საჰაერო ტრანსპორტმა გადაიყვანა 2,1 მილიონი მგზავრი. მგზავრთა გადაყვანა შარშანდელთან შედარებით გადიდდა 7,8 პროცენტით. მგზავრთბრუნვის გეგმა შესრულებულია 103,6 პროცენტით; 1978 წელთან შედარებით მგზავრთბრუნვა გაიზარდა 11,3 პროცენტით. ტვირთბრუნვის გეგმა (ფოსტის ჩათვლით) შესრულდა 102,3 პროცენტით. ტრანსპორტის, უწინარეს ყოვლისა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში იყო ნაკლოვანებანი. სრულად არ იყო უზრუნველყოფილი უმნიშვნელოვანეს სახეობათა ტვირთის გადაზიდვის მოთხოვნილებანი.

კავშირგაბმულობის საწარმოებმა (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო) შეასრულეს პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმა; 1978 წელთან შედარებით პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 3,3 პროცენტით. შესრულდა სოფლად სატელეფონო სადგურების ტევადობის გადიდების გეგმა.

მთლიანად ვერ შესრულდა კავშირგაბმულობის საქალაქთაშორისო ხაზებზე სატელეფონო არხების სიგრძის, საქალაქო სატელეფონო სადგურების ტევადობის, მონაცემების გადაცემის საერთო-სახელმწიფო სისტემის არხების კომუტაციის კვანძების ტევადობის გადიდების გეგმები.

IV. კაპიტალური მშენებლობა

1979 წელს ახალი საწარმოების მშენებლობის, მოქმედი საწარმოების გაფართოების, ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის შედეგად ამოქმედდა:

ელექტროენერგეტიკაში — ენგურჰესის 260 ათასი კილოვატი სიმძლავრის მეოთხე აგრეგატი, 35 კილოვოლტი და უფრო მაღალი ძაბვის 409 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის ელექტროგადამცემი ხაზები; 6-20 კილოვოლტის ძაბვისა — 637 კილომეტრი, 0,4 კილოვოლტი ძაბვისა — 1225 კილომეტრი; 35 კილოვოლტი და უფრო მაღალი ძაბვისა— 775 ათასი კილოვოლტ-ამპერი სიმძლავრის სატრანსფორმატორო დამწევი ქვესადგურები.

ნავთობგადასამუშავებელ მრეწველობაში — 13 საექსპლოატაციო ნავთობის ჭაბურღილი.

შავ მეტალურგიაში — საათში 12 ათასი კუბური მეტრი მწარმოებლობის 1 ჟანგბადის დანადგარი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

მანქანათმშენებლობაში — 1,4 მილიონი მანეთის ღირებულების ტექნოლოგიური მოწყობილობისა და მისი სათადარიგო ნაწილების საწარმოო სიმძლავრე საწარმოო გაერთიანების „საქღვინომანქანის“ ლაგოდეხის ფილიალში;

ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელ მრეწველობაში — 3,8 მილიონი მანეთის ავეჯის დამამზადებელი სიმძლავრე თბილისის საავეჯო საწარმოო გაერთიანება „განთიადში“;

საშენ მასალათა მრეწველობაში — 32,8 ათასი კუბური მეტრი ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების საწარმოო სიმძლავრე ნოსირის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში;

მსუბუქ მრეწველობაში — 1,2 ათასი სართავი თითისტარი მაუდ-კამოვლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“ და 0,4 მილიონი ცალი ზედა ტრიკოტაჟისა და 4,8 მილიონი ცალი ტრიკოტაჟის საცვლის დამამზადებელი სიმძლავრენი გლდანის ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკაში.

კვების მრეწველობაში — 7,2 ათასი ტონა ჩაის გადასამუშავებელი სიმძლავრენი ბანძის, ბაილეთის, ნაბაკევის ჩაის ფაბრიკებში, 29 მილიონი პირობითი ქილა ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების საწარმოო სიმძლავრენი ქუთაისისა და მარნეულის საკონსერვო ქარხნებში, 25 ათასი ტონა ყურძნის გადასამუშავებელი სიმძლავრენი წნორის, თელავის № 2, აფენისა და შილდის № 2 ღვინის ქარხნებში, წელიწადში 2 მილიონი ბოთლი შამპანურის საწარმოო სიმძლავრენი თბილისის შამპანური ღვინოების საწარმოო გაერთიანებაში, დღე-ღამეში 60 ტონა პურფუნთუშეულის საწარმოო სიმძლავრენი გორის, წყალტუბოს და ბაკურიანის პურის ქარხნებში; ახალი სიმძლავრენი კაჭრეთის მარანში, გურჯაანის საკუპაჟე ბაზაში, ახალქალაქის ლუდის ქარხანაში, ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატში; 1732 ტონა თამბაქოს შესანახი საწყობები ლაგოდეხში, ბათუმში, ლალოში, 0,6 ათასი ტონა ერთდროული შენახვის მაცივრები ხობში, ლენინგორში, ახალციხის რაიონის სოფელ ოლიანკაში;

41,8 კილომეტრი მყარსფარიანი საავტომობილო გზები, ნავთობის შესანახი ტევადობანი თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ბოლნისში, 13,3 ათასნომრიანი საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგურები თბილისში, ზესტაფონში, გარდაბანში, გორში, დმანისში, ქობულეთში, 3 მილიონი ანაბეჭდისათვის გათვალისწინებული რაიონული სტამბები ლენინგორსა და კასპში, 4 ათასი კვადრატული მეტრი საერთო სასაქონლო საწყობები თბილისსა და რუსთავში.

სოფლის მეურნეობაში — აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მეცხოველეობის რძის საწარმოო კომპლექსები 2,3 ათასი პირუტყვისათვის სუგუნაში, ბოლნისსა და გალში. დმანისის 3 ათასი საჯიშე ხბოს გამოსაზრდელი მეცხოველეობის კომპლექსი, 4,5 ათასი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის განკუთვნილი ნაგებობანი, საოორე — 7,5 ათასი სულისათვის, ფარეხი — 11,8 ათასი სულისათვის. 168 ათასი მოქცეულით გადიდდა საკვერცხე მიმართულების ფაბრიკების სიმძლავრენი ნორიოს, თბილისის, მეჯვრისხევის, წყალტუბოს და საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკებში; სახორცე მიმართულებისა — 2,2 მილიონი ბროილერისათვის გამოჭვების და კოდის მეფრინველეობის ფაბრიკებში. ამოქმედდა 6,5 ათასი ტონა ბოსტნეულისა და კარტოფილის საცავები, მარცვლეულსაცავები 3,2 ათასი ტონისათვის, 9,3 ათასი კუბური მეტრი ტევადობის სასილოსე და სასენაჟე ნაგებობანი, მექანიზებული საწყობები 15,1 ათასი ტონა მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა და კირიანი მასალების ერთდროული შენახვისათვის, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურები „საქსახსოფლტექნიკის“ ორგანიზაციებში — წელიწადში 600 ავტომანქანისათვის.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 11,7 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, მათ შორის 1,1 ათასი ჰექტარი სარწყავი სათიბები და საძოვრები, დამრობილია 5,5 ათასი ჰექტარი ჭარბტენიანი და დაჭაობებული მიწები.

კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე შეადგინა 1690 მილიონი მანეთი და 1978 წელთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის წლიური გეგმა 98 პროცენტით შესრულდა.

სახელმწიფო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა მიერ შესრულებულმა საიჯარო სამუშაოთა მოცულობამ 832 მილიონი მანეთი შეადგინა და 1978 წლის დონეს 3 პროცენტით გადააჭარბა.

სამეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებში სამუშაოთა მოცულობა 5 პროცენტით გაიზარდა; გეგმა 100,4 პროცენტით შესრულდა.

გადიდდა შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში. გრძელდებოდა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების დანერგვა. ბრიგადული იჯარის მეთოდით მუშაობდა ბრიგადების საერთო რიცხვის დაახლოებით 34 პროცენტი. კვლავ ინერგებოდა ახალი ტექნოლოგია სამშენებლო სამუშაოთა წარმოებაში, ეფექტიანი კონსტრუქციები და მასალები.

კაპიტალურ მშენებლობაში კვლავ არის ნაკლოვანებანი. ძირითადი ფონდებისა და ბევრი სახეობის საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა ვერ შესრულდა. ბევრმა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა საიჯარო სამუშაოთა, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდის გეგმები. ჯერ კიდევ უზრუნველყოფილი არ არის სახსრების კონცენტრაცია პირველი რიგის მშენებლობებსა და ობიექტებზე, ჯერ კიდევ მიღწეული არ არის ამ მშენებლობების მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების სრული უზრუნველყოფა. გასულ წელს გაიზარდა დაუმთავრებელი მშენებლობა.

V. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება

მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი სახალხო მეურნეობაში თითქმის 50 ათასით გაიზარდა. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებულ კოლმეურნეთა რიცხვმა 310,5 ათასი შეადგინა. ისევე როგორც წინა წლებში, უზრუნველყოფილი იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება.

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე კალანგარიშებით წლის მანძილზე 4,8 პროცენტით გაიზარდა.

მუშათა და მოსამსახურეთა ნაღდი ფულადი ხელფასმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 139 მანეთი 1978 წლის 134 მანეთთან შედარებით. ხელფასი მოიმატებს საბოგადოებრივი ფონდებიდან მისაცემლობის და [illegible] 88 მანეთიდან 195 მანეთამდე გადიდდა.

სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალური განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამის შესაბამისად 1979 წელს დამთავრდა მეათე ხუთწლედის ერთ-ერთი დიდი სოციალური ღონისძიების განხორციელება — ტარიფის განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები გაუდიდდათ არასწარმოო დარგების მუშაკებს. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად ხელფასი მოემატა დაახლოებით 550 ათას მუშასა და მოსამსახურეს. ხელფასი მოემატათ აგრეთვე ზოგიერთი სხვა კატეგორიის მუშაკებს.

კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება 9 პროცენტით გაიზარდა. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებულმა **სარგოებმა და შეღავათებმა** შეადგინა 1755 მილიონი მანეთი და წლის მანძილზე 96 მილიონი მანეთით გაიზარდა.

კიდევ უფრო გაუმჯობესდა დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. შემოღებულია დამატებითი ყოველწლიური ფასიანი შვებულება მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის ცალკეული კატეგორიების ექიმებისათვის. გაიზარდა სახლების შენახვის ხარჯების ნორმები — დაწესებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეორე და მესამე კლასის მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უფასო უზრუნველყოფა.

გრძელდებოდა სახელმწიფო შინაგანი სესხების ობლიგაციათა დაფარვა.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში გაიზარდა 330 მილიონი მანეთით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 3959,5 მილიონი მანეთი და 1978 წელთან შედარებით, შესადარი ფასებით, გაიზარდა 186,3 მილიონი მანეთით. საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა შესრულდა.

ცალკეული საქონლის გაყიდვის მოცულობას სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:	გაიყიდა 1979 წელს 1978 წელთან შედარებით
პურპროდუქტები	102
ხორცი და ხორცის პროდუქტები	107
თევზი და თევზის პროდუქტები	86
კარაქი	105
მცენარეული ზეთი	106
მარგარინის პროდუქცია	101
მოუხდელი რძის პროდუქცია	98
ყველი	86
კვერცხი	102
შაქარი	102
საკონდიტრო ნაწარმი	105
ჩაი	122
კარტოფილი	122
ბოსტნეული	99
ხილი და ციტრუსები	89
ტანსაცმელი, თეთრეული და ქსოვილები	104
ტრიკოტაჟის ნაწარმი	97
წინდა	95
ტყავის ფეხსაცმელი	108
ფაიფურ-ქაშანურის, მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	114
საპონი და და სინთეზური სარეცხი საშუალებები	103
ავეჯი	106
მაცივრები	106
სარეცხი მანქანები	103
საათები	103
ფოტოაპარატები	116
მოტოციკლები და მოტოროლერები	112
ველოსიპედები და მოპედები	109
რადიომიმღებები და რადიოლები	101
ტელევიზორები	100
მსუბუქი ავტომობილები	102

საქონელბრუნვის ზრდის დროს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ზოგიერთ სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ვერ კმაყოფილდებოდა მთლიანად, კერძოდ, მეცხოველეობის პროდუქტებზე, თევზზე, ყველზე, ბამბის ქსოვილებსა და ბამბის ძაფის ნაწარმზე, ხანგრძლივი სარგებლობის ცალკეულ სახეობათა საქონელზე.

მოსახლეობისათვის გაწეული **საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა** 1978 წელთან შედარებით გაიზარდა 10,2 პროცენტით, აქედან სოფლად — 19,2 პროცენტით. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის გეგმა შესრულდა.

დაფინანსების ყველა წყარო

დღევანდელი ჟურნალიდან

დიდი ლენინის საიუბილეოდ

ვერა ემეზადება

ლენინგრადი, 2 თებერვალი. პერუში შეიქმნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ზეიმისათვის მზადების ორგანიზაციული კომიტეტი. მის შემადგენლობაში შეივიდნენ ქვეყნის მთელი რიგი პროგრესული პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე მრავალრიცხოვანი მასობრივი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და ადგილობრივების წარმომადგენლები.

კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს პერუს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ორხე დელ პრადო.

კომიტეტი შეუდგა ამ საგულისხმო თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებათა, კერძოდ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციების, თემატიკური საღამოების, კონკურსების მზადებას, გათვალისწინებულია აგრეთვე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კინოფილმების დემონსტრაცია, ლენინის შრომების გამოფენათა მოწყობა და იმ ექსპოზიციების ორგანიზაცია, რომლებიც ობიექტურად მასალებით ასახავენ მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებებს.

მოლაპარაკება დამთავრდა

გუჟარესტი, 2 თებერვალი. დღეს დამთავრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური მდივნის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუს მოლაპარაკება.

დასკვნითს შეხვედრაზე მხარეებმა ზოგიერთ ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემასთან ერთად განიხილეს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის განვითარების საკითხები.

მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის მხრივ ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. თ. მალცევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ვ. ი. დოზდენკო; რუმინეთის მხრივ — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტდამსკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ა. ვ. ნიკოლისკუ და რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტდამსკომის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. ანდრეი.

გმობენ გარიგებას

პარიზი, 2 თებერვალი. ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა დამყარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობენ პალესტინელი არაბი ხალხის ეროვნულ უფლებებს და ისრაელი მთლიანად გაიყვანს ჯარებს ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, განაცხადა სირიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა აბდელ ჰალიმ ჰადამმა სტრასბურგში ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის სესიაზე პალესტინის საკითხის განხილვის დროს.

მან დაგმო ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული გარიგება, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ კემპ-დევიდის შეთანხმება ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის გაძლიერების წყაროა. როცა ეგვიპტის პრეზიდენტმა გადაწყვიტა ოკუპირებულ იერუსალიმში მოიალაფური გამგზავრება, თქვა ა. ჰ. ჰადამმა, ჩვენ გადაჭრით გავილაშქრეთ ამ საშიში ნაბიჯის წინააღმდეგ. ეგვიპტის პრეზიდენტის ღალატის წინააღმდეგ აღდგნენ არაბული ქვეყნები, რომლებმაც დაგმეს და ბოიკოტი გამოუცხადეს ეგვიპტის რეჟიმს.

სეპარატულმა ხელშეკრულებამ, თქვა შემდეგ ა. ჰ. ჰადამმა, დაამკვიდრა ეგვიპტეში ისრაელის ბატონობა. თუ წინათ ისრაელი ოკუპაციას უწევდა ეგვიპტის ტერიტორიის მხოლოდ ნაწილს, ახლა მთელი ეგვიპტე მისი კონტროლის ობიექტია. კემპ-დევიდის გარიგებას ემსხვერპლა პალესტინელი ხალხის საქმე. ყბადაღებული „ადმინისტრაციული ავტონომია“ საბოლოო ანგარიშით მიზნად ისახავს მკვიდრი მოსახლეობის გარეკვას ოკუპირებული არაბული მიწებიდან, რომლებიც ისრაელებს საკუთარ მიწებად მიაჩნიათ.

პრესკონფერენციის დროს აბდელ ჰალიმ ჰადამმა მწვავედ გააკრიტიკა იმპერიალისტური ძალების მლიქნელური კამპანია, რომლებიც ვითომ ისლამისათვის ზრუნავენ.

შეეხო რა არაბულ და სხვა მაჰმადიანურ ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას, აბდელ ჰალიმ ჰადამმა განაცხადა: „სსრ კავშირი ჩვენი მეგობარია და ყოველთვის ჩვენ გვემხრობა“.

თავი გამოიაშკარავა...

ქაბული, 2 თებერვალი. ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელიც ლაყბობს „მშვიდობისა და სამართლიანობის“ შესახებ, სინამდვილეში ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, ცდილობს ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, იმოქმედოს პროგრესული რეჟიმებისა და მოძრაობების წინააღმდეგ, წერს გაზეთი „ქაბულ ნიუ ტაიმსი“. უკვე სულ ცოტა თორმეტი წელია, აღნიშნავს გაზეთი, ვაშინგტონს აშკარად ანტიკრაბული პოზიცია უჭავია. ამერიკის იმპერიალიზმმა თავი გამოიაშკარავა აგრეთვე, როგორც ირანელი ხალხის მტერმა.

მაგრამ „ზარბაზნების დიპლომატია“, ხაზგასმით აღნიშნავს „ქაბულ ნიუ ტაიმსი“ უეჭველია ჩასაფრებულ არის განწირული, დემოკრატიული ავღანეთი ნდობით სარგებლობს და მას მხარს უჭერენ არა მარტო ავღანელი ხალხი, არამედ მისი მეგობრები მთელ მსოფლიოში, რომლებიც ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ხალხს ძნელბედობის ჟამს დაეხმარნენ.

გვეტყობინებენ საკრედიტივო და ახალი კომბინის საკონტროლო კორესპონდენტები

ოკეანისგაღმელი ემისრის ვოიაჟი

მაპუტუ, 2 თებერვალი. როგორც იოჰანესბურგიდან გვატყობინებენ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პრეტორიის რეჟიმის წინამძღოლებთან „საკონსულტაციოდ“ იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე აფრიკის საქმეებში რ. მუსი. ეს კონტაქტები რასისტებთან დამყარდა ჯ. კარტერის პირადი მითითებით, როშელიც „შეწუხებულია სამხრეთ აფრიკის ამბებით“.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ოფიციალურ პირებთან მისი შეხვედრის დროს, რომელიც დიდი საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს „ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები“. პრესაში შეღწეული ცნობების თანახმად, ამ საკითხებს შორის იყო ამერიკის მეხუთე ფლოტის მიერ სამხედროსტუნის სამხედრო-საზღვაო ბაზისა და დურბანის ნავსადგურის გამოყენების საკითხი, როდეზიაში „ღონისძიებათა შეთანხმება“, ნამიბიაში პროდასავლური მთავრობის შექმნის ღონისძიებანი.

პრეტორიაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის უ. ედმონდსონისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლებიც მის შტატში ასრულებენ „სოლსბერის ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ფუნქციებს“ მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება ტრანსვაალის პროვინციის სიიდუმლო ბაზებში დაარქაროონ მუზორევას ეგრეთ წოდებული „დამხმარე ძალების“ რაზმების მომზადება.

ოკეანისგაღმელი ემისრის ვოიაჟი, ხაზს უსვამს აფრიკის პრესა, დაკავშირებულია სამხრეთ აფრიკის რეგიონის მოვლენათა განვითარებაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და მის დასავლურ მეურვეთა შეიარაღებული ჩარევის ავსმომავლოებელ გეგმებთან.

დანაშაულებრივი აქტი

ვაშინგტონი, 2 თებერვალი. ამერიკის პრესაში დაიბეჭდა ცნობები, რომ ნიუ-იორკის აეროპორტში სამოტაჟი დაუპირეს აეროფლოტის თვითმფრინავს, რომელიც 18 იანვარს ასრულებდა რეგულარულ რეისს მოსკოვ-ნიუ-იორკის მარშრუტით. ამ აეროპორტის ფრენის კონტროლის ცენტრის ერთ-ერთმა ამერიკელმა თანამშრომელმა განაცხადა მოშალა ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანა, რომელიც კონტროლს უწევდა საბჭოთა თვითმფრინავის მოახლოებასა და დაშვებას, რის შედეგად თვითმფრინავს ავარიის რეალური საფრთხე შეექმნა. როგორც აღნიშნულია ცნობებში, მხოლოდ იმის წყალობით, რომ უკანასკნელ წუთში ჩაერია აეროპორტის უფროსი დისპეტჩერი, ყველფერი კეთილად დამთავრდა და თვითმფრინავი ნორმალურად დაეშვა აეროდრომზე.

ეს დანაშაულებრივი აქტი შემთხვევითი ეპიზოდი როდია იმ ანტისაბჭოური ისტერიის ვითარებაში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში განაღდა ამერიკის ადმინისტრაციის უშუალო მონაწილეობით, და იმ დაძაბულ მდგომარეობაში, რომელიც ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის აეროპორტში შეიქმნა. მხოლოდ თვითმფრინავების ეკიპაჟთა და აეროფლოტის ადგილობრივი განყოფილებების თანამშრომელთა თავდადებული შრომის წყალობით გრძელდება საჰაერო მიმოსვლა მოსკოვსა და ამ ქალაქებს შორის სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საჰაერო მიმოსვლის შეთანხმების შესაბამისად.

ვაშინგტონში საბჭოთა საელჩომ განმარტება მოსთხოვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს და მიიღო პასუხი, რომ საბოტაჟის ცდა ნამდვილად იყო და ახლა მიმდინარეობს ამ სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიება.

ოლიმპიადა

ეროვნული

ქმნა მართლისა, სამართლისა...

მისი ფერმკრთალი, სათნო, [illegible] კეთილშობილი სახე ულრმესი პატივისცემით განაწყობს ადამიანს. ეს კდეამოსილი, ელეგანტური ქალი თინათინ წერეთელია — მეცნიერი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ პირველთაგანს რომ მიენიჭა, ერთადერთი იურისტი ქალი, რომელიც ამჟამად რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია მთელს კავშირში. მეცნიერი მთელ თავის ცხოვრებას თავდადებულ ძიებას ახმარს. უოდამ მძიებლის ინტუიციამ კი მას სრულიად ახლებურად წარმოაჩენინა სისხლის სამართლის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა.

ქალბატონ თინათინს ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმრობა რომ ვთხოვეთ, ხალისით დაგვთანხმდა, და აი, ჩვენი საუბარიც:

— ფუძედალოცვილი ყოფილა, ჭეშმარიტად, თქვენი ოჯახი — ოთხივე და-ძმა მეცნიერებას ეზიარეთ და ბოლომდე მისი ერთგული ხართ. საიდან მომდინარეობს იმ წყაროს სათავე, მეცნიერებას ამდენი ხალასი ნიჭი რომ შეშატა?

— ოჯახიდან, მშობლები და ნ. მამაჩვენი, ვასილი პროფესიით ექიმი, განსწავლული პუბლიცისტი, ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე იყო, მან ჩაგვინერგა შრომისმოყვარეობა.

— როდის გაგელვიძათ ინტერესი იურიდიული მეცნიერებისადმი, რამ განსაზღვრა სამართლის საქმისათვის ესოდენ თავდადებული სამსახური?

— ინტერესი სოციალურ-პოლიტიკური საკითხებისადმი თავდაპირველად ოჯახში აღმეძრა. აქ ეს საკითხები ყოველთვის ცოცხალი საუბრისა და დაუსრულებელი კამათის საგანი იყო. მაგრამ, კერძოდ, სამართლის საკითხებით დაინტერესება ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი იურისტის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ლექციებმა აღმიძრა. ლ. ანდრონიკაშვილს მისი მოწაფეები ყოველთვის მადლობის გრძნობით იხსენებენ იმ ინტელექტუალური და, შეიძლება ითქვას, ესთეტიკური სიამოვნებისათვის, რომელიც მან თავისი ლექციებით ჩვენ ახალგაზრდობაში განგვაცდევინა და რომელმაც მრავალი ჩვენგანის მომავალი ცხოვრების გზა განსაზღვრა.

თინათინ წერეთლის მრავალმხრივი ფუნდამენტური ნაშრომები ეძღვნება სისხლის სამართლის ზოგადთეორიულ პრობლემებს.

მეცნიერის ნიჭმა, ნებისყოფამ, ლოგიკურმა აზროვნებამ, საკითხთა არსში წვდომის უნარმა და ფართო განსწავლულობამ განსაზღვრა მისი მეცნიერული გამბედაობა. „შიშის მომგვრელს“ უწოდებენ მიზეზობრივი კავშირის პრობლემას, რადგან იგი ურთულესია სისხლის სამართლის დარგში. სწორედ ეს პრობლემა აირჩია მეცნიერმა კვლევის ერთ-ერთ სფეროდ. ამ პრობლემის წვრილფეხა-ულმა გადაჭრამ დიდი აღიარება მოიპოვა. თავის ნაშრომში „მიზეზობრივი კავშირის პრობლემა სისხლის სამართალში“, თ. წერეთელი ასაბუთებს, თუ რა ზეგავლენას ახდენს მიზეზობრივი კავშირის ესა თუ ის გაგება ისეთი ძირითადი სისხლისსამართლებრივი ცნებების აგებაზე, როგორიც არის ბრალი, საზოგადოებრივი საშიშროება, დანაშაულის მცდელობა და თანამონაწილეობა და სხვა.

თ. წერეთლის თეორია შეტანილია სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის მრავალ სახელმძღვანელოში.

დიდი თეორიული ინტერესი გამოიწვია თ. წერეთლის ნაშრომმა „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“. მეცნიერმა პირველად საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოიყენა რეალური შესაძლებლობის დიალექტიკური კატეგორია დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის.

„დანაშაულებრივი მოქმედება და უმოქმედობა სისხლის სამართალში“ — ასე ეწოდება მეცნიერის გამოკვლევას, რომელიც იგი ცდილობს ფსიქოლოგიის მეცნიერების მონაცემების საფუძველზე ააგოს სისხლის სამართლებრივი მოძღვრება დანაშაულებრივი ქმედობისა და უმოქმედობის შესახებ.

„თანამონაწილეობა საბჭოთა სისხლის სამართალში“, მოძღვრება დანაშაულზე, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის საკითხები — ეს ის გამოკვლევებია, რომელშიც ავტორი სათანადო მეცნიერული ტაქტით, თეორიულად ამოწურავად ამუშავებს პრობლემებს.

თ. წერეთლის გამოკვლევების ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს, ერთი კია, რომ მას საოცარად ემარჯვება საკვლევი პრობლემების სხვადასხვა ასპექტის ორგანული შერწყმა და ჩვენება იმისა, თუ რამდენად ნაყოფიერია სამართლის მეცნიერების თანამშრომლობა მეცნიერების სხვა დარგებთან. ამიტომაც არის, რომ ეს-დენი აღიარება მოიპოვა მისმა გამოკვლევებმა, ამიტომ აქვს დიდი რეზონანსი თ. წერეთლის გამოჩენას საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ ყრილობებზე.

— პატივცემულო თინათინ, რა პრაქტიკული შედეგები მოჰყვა თქვენს გამოკვლევებს?

— ნება მომეცოთ, თქვენი კითხვა განვაზოგადო და გიპასუხოთ, თუ როგორია სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდამოკიდებულება.

უწინარეს ყოვლისა, თვით პრაქტიკა მნიშვნელოვნად ასაზრდოებს თეორიას. მრავალი დებულების დებლო მუშაობაში, ცალკეული რთული შემთხვევების გარჩევაში.

მეცნიერის დიდ ერუდიციას ვვიდასტურებს აგრეთვე ამონაწერი პოლონელი კრიმინალისტის, სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორი ი. ანდრეევის რეცენზიიდან: „...ქართულ სისხლის სამართლის სკოლაში მთავარი ადგილი თ. წერეთელს უჭირავს, ხოლო მნიშვნელოვან როლს მისი მოწაფეები ასრულებენ...“

— თუ შეიძლება, გვითხარით, თქვენი მრავალფეროვანი მოღვაწეობის რომელ მხარეს ანიჭებთ უპირატესობას საზოგადოებრივი მნიშვნელობისა თუ პირადი კმაყოფილების თვალსაზრისით: სამეცნიერო-კვლევითსა თუ პედაგოგიურს — მეცნიერთა კადრების მომზადებას?

— სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და პედაგოგიური საქმიანობა ისეა ერთმანეთან დაკავშირებული, რომ რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება ძნელია. მეცნიერისათვის, ჩემი აზრით, წმინდა მეცნიერულ მუშაობაზე ნაკლები არ არის და, შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანიც იყოს მეცნიერული აზრის გამგრძელებლის აღზრდა. მეორე მხრივ ახალგაზრდებში მეცნიერული ინტერესისა და შემოქმედებითი აზროვნების გაღვივება დიდად უწყობს ხელს თვით სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასაც. სწორედ აქ, აუდიტორიაში, საუკეთესოდ მოწმდება, თუ რამდენად დამაჯერებელი და თანმიმდევრულია მეცნიერული კონცეფცია. ამავითად აქვს ვინმეს ისეთი ცოცხალი, აქტიური აღქმისა და მწვავე კრიტიკული აზროვნების უნარი, როგორც ახალგაზრდას, რომელსაც გაეღვიძა ინტერესი მეცნიერებისადმი.

პედაგოგიური მუშაობა ყოველთვის დიდ კმაყოფილებას მანიჭებდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვგრძნობდი, რომ შეეძელი კონტაქტის დამყარება მსმენელებთან და ჩავხედე ისინი პრობლემის არსში; არაფერი არ მგვრიდა ისეთ სიამოვნებას, როგორსაც ცხოველი კამათი, აუდიტორიაში რომ ატყდებოდა ხოლმე საადავო საკითხის გამო. ამას მხოლოდ ის სიხარული შეედრება, რომელსაც ვგრძნობ ხოლმე, როცა გავიგებ ჩემი მოწაფის წარმატებებს.

— როგორ განმარტავთ ღირსეული ადამიანის ცნებას?

— ღირსეულ ადამიანად მიმაჩნია თავისი ქვეყნის, ერის პატრიოტისმცემელი მშრომელი კაცი, რომელიც შორსა დგას მედიდურობისა და პირმოთნეობისგან.

— რა მიგაჩნიათ ადამიანთა ურთიერთობის ძირითად საფუძვლად?

— სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა. მაშინაც კი, როცა გამომძიებელი დანაშაულს იკვლევს, ან მოსამართლე ბოროტმოქმედს სასჯელს ადებს, იგი უნდა გრძნობდეს, რომ მის წინაშე ადამიანია, და რომ ამ ადამიანს ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება, სითბო და სიყვარული. მხოლოდ ამ პირობით მიაღწევს მართლმსაჯულება მიზანს — დამნაშავის გაკეთილშობილებას და საზოგადოებისათვის პატიოსან კაცად დაბრუნებას.

რ. მუხიგულაშვილი.

იონა ვაკელი

სიკეთის ფუძე

ხალხია ჩვენი სიკეთის ფუძე,
უმისოდ რაა, სიცოცხლე ჩვენი,
მისი წყალობით გასაჭირს ვუძლებთ,
ლენინის დროს ყველა სავსე ვართ
ლენინით.

ეგ რომ არ იყოს ასე ვერ ვივლით,
გადაიქცევა ცრემლი იარად,
თუ შენ არ იგრძენ სხვისი ტკივილი
ან შენი სხვამ არ გაიზიარა.

თუ მოძმე არ გყავს დარჩები ობლად,
თუნდაც რომ იყო გულით კეთილი,
ვინ შეგიყვარებს ამ ნუთისოფლად,
თუ ხალხისაგან ხარ მოკვეთილი.

კაცი კაცით ხარ ამ ქვეყანაზე,
მაგრამ ჩუმად თუ გალვივდა ნყლული,
ნუ შეჩერდები ცხოვრების გზაზე,
გადი ხალხში და მორჩება გული!

✦✦

პირველი გრძნობა

ამაღლდი სულო, ო, როგორ მინდა
ყველგან ყვაოდეს სიცოცხლის ეშხი,
ულამაზესი ლივლივი წმინდა —
გადადიოდეს ფერიდან ფერში!

მაშინ იღვიძებს ბუნების დედაც —
ცრემლად რომ დნება ზამთარი ავი,
თითქოს სულ სხვა ხარ, როდესაც
ხედავ,
ხეზე ფოთოლს და მინდორში ყვავილს.

და მოვა ამ დროს ამაღლებული
პირველი გრძნობა, თითქოს ხარ
ბავშვი,
შეგიპყრობს მძაფრი განცდები სულის
უცებ სხვა კილო ჩადგება ხმაში...

შეგცვლის, შეგიტევს, დაგატრიალებს,
ამ გრძნობებს ხშირად სად არ უვლია,
ცრემლიც რომ წვავდეს ღვთაებრივ
თვალებს,
სიცოცხლე მაინც სიხარულია.

სიხარულია ჩვენი ოცნებაც
უმისოდ მადლიც დაკარგულია,
ასე მხურვალედ რომ იკოცნება
გულის სითბო და სიყვარულია.

და ახლა როცა იგი მყავს ხატად,
არც მოწყენილი და არც მარტო ვარ,
თუ გულმა მისმა არ მიღალატა
და სულმა მისმა არ მიმატოვა!

✦✦

კრიმანჭული

მაინც სად ხარ, დამენახე,
ჩემო ლერწმის ღერო,
სად გაფრინდა, სად ვეძებო,
ჩემი ბედის ნერო...
ამქვეყნიურ სიცოცხლეზე
მინდა სისხლით ვნერო,
შუქნათელო ცის ნიავო —
მთიდან მონაბერო!
შენი ტკბილი გულის სითბო —
„ჩაკრულო“ და „ერერო“,
„ვახტანგურა“, „შავი შაშვი“
ლენინი სასიმღერო...
კრიმანჭულის მოძახილმა
თვით ღმერთებს რომ ფერობს —
კიდევ დიდხანს გვალხინოს და
ტკბილად დაგვაბერს!

✦✦

ნუთუ არ კმარა

ობელისკები მოწყენით დგანან,
მათ მომატება ჭირდებათ განა?
ვინ უპატრონოს მიტოვებულ სახლს
ან ვინ გათოხნის ეზოში ყანას!

რამდენი სისხლი დაიქცა ბარად,
მას ცრემლიც მიჰყვა, ნავიდა
ღვარად...
კიდევ რამდენი უნდა ვიბრძოლოთ,
ამდენი მსხვერპლი ნუთუ არ კმარა?

წავიდა ძმა და აღარ ჩანს კვალი,
შვილიც ნავიდა — ოჯახის თვალი,
რამდენჯერ უნდა გავიღოთ მსხვერპლი,
რომ მოვიხადოთ სამშობლოს ვალი!

ნუთუ კვლავ ბევრჯერ პირს გახსნის
წყლული,
კიდევ რამდენჯერ დაგვწყდება გული?
ვართ ყველა ასე ქვეყნის წინაშე —
შეწირული და თავდადებული!

✦✦

ხარის ცრემლები

ულრუბლო ცაა, დიდებული
გათენდა დილა,
ხეივნის ბოლოს ჯეელები
მდუმარედ დგანან...
ნამოაქციე ნიშა ხარი
მდინარის პირად
და უცებ ყელთან ათამაშდა
ყასაბის დანა.

დადგა წუთები შემზარავი...
რის შებრალება!
უცებ დაირღვა ცის და მიწის
ძველი პირობა,
მაინც იბრძოდა სიცოცხლისთვის
თაფლისთვალება,
შევნიშნე ცრემლი, უბედური
ხარი ტიროდა.

ტიროდა, მაგრამ ბედისწერის
განკარგულება
იყო ძლიერი, ვიდრე თვალი
ცრემლებით სავსე,
არც დიდი შრომა, არც ამაგი,
არც ერთგულება,
ახლა არავის არ ახსოვდა
ამ ქვეყანაზე!

✦✦

ბედთან ჭიდილი

ყველაფერი ცუდი არის,
რაც ჩვენ ყოფას აბნელებს,
დარდი, ფიქრი, მწუხარება,
ესეც ჩვენს სულს ბერებს...

მაგრამ ისიც ვაყაკცია —
ვინც არ ყრიდა იარაღს,
უჭირდა და ქვეყნად მაინც
სიმართლის გზით იარა!

დღევანდელი ნომრის სტუმარი



სამართლისა...

ეროვნული ინტერესის საკანონმდებლო დებულების სახით ისევ პრაქტიკას დაუბრუნდა.

მეორე მხრივ, პრაქტიკა უსუსური იქნებოდა, რომ მას მუდმივად არ განამტკიცებდეს მეცნიერებაში შემუშავებული პრინციპები და იდეები. ამა თუ იმ კონკრეტული საქმის გამო მოსამართლემ „საღი გონებისა“ და ინტუიციის საფუძველზე შესაძლოა საქმე შემთხვევით სწორად გადაწყვიტოს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სწორად რომ შემთხვევითი იქნება, თუ მხოლოდ ინტუიციას დაეყრდნობა. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უნარი მეცნიერულად შეამოწმოს და დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. ამისათვის კი საჭიროა სამართლის თეორიის, მისი პრინციპებისა და დებულებების საფუძვლიანი ცოდნა.

მეცნიერთა ერთ-ერთი მოვალეობაა პრაქტიკულად დაეხმარონ სამართალდამცველ ორგანოებს. მე მონაწილეობა მიმიღია საკანონმდებლო მუშაობაში, ცალკეული რთული შემთხვევების გარჩევაში.

მეცნიერის დიდ ერუდიციას ვვიდასტურებს აგრეთვე ამონაწერი პოლონელი კრიმინალისტის, სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორი ი. ანდრეევის რეცენზიიდან: „...ქართულ სისხლის სამართლის სკოლაში მთავარი ადგილი თ. წერეთელს უჭირავს, ხოლო მნიშვნელოვან როლს მისი მოწაფეები ასრულებენ...“

— თუ შეიძლება, გვითხარით, თქვენი მრავალფეროვანი მოღვაწეობის რომელ მხარეს ანიჭებთ უპირატესობას საზოგადოებრივი მნიშვნელობისა თუ პირადი კმაყოფილების თვალსაზრისით: სამეცნიერო-კვლევითსა თუ პედაგოგიურს — მეცნიერთა კადრების მომზადებას?

— სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და პედაგოგიური საქმიანობა ისეა ერთმანეთან დაკავშირებული, რომ რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭება ძნელია. მეცნიერისათვის, ჩემი აზრით, წმინდა მეცნიერულ მუშაობაზე ნაკლები არ არის და, შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანიც იყოს მეცნიერული აზრის გამგრძელებლის აღზრდა. მეორე მხრივ ახალგაზრდებში მეცნიერული ინტერესისა და შემოქმედებითი აზროვნების გაღვივება დიდად უწყობს ხელს თვით სამეცნიერო-კვლევითს მუშაობასაც. სწორედ აქ, აუდიტორიაში, საუკეთესოდ მოწმდება, თუ რამდენად დამაჯერებელი და თანმიმდევრულია მეცნიერული კონცეფცია. ამავითად აქვს ვინმეს ისეთი ცოცხალი, აქტიური აღქმისა და მწვავე კრიტიკული აზროვნების უნარი, როგორც ახალგაზრდას, რომელსაც გაეღვიძა ინტერესი მეცნიერებისადმი.

პედაგოგიური მუშაობა ყოველთვის დიდ კმაყოფილებას მანიჭებდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვგრძნობდი, რომ შეეძელი კონტაქტის დამყარება მსმენელებთან და ჩავხედე ისინი პრობლემის არსში; არაფერი არ მგვრიდა ისეთ სიამოვნებას, როგორსაც ცხოველი კამათი, აუდიტორიაში რომ ატყდებოდა ხოლმე საადავო საკითხის გამო. ამას მხოლოდ ის სიხარული შეედრება, რომელსაც ვგრძნობ ხოლმე, როცა გავიგებ ჩემი მოწაფის წარმატებებს.

— როგორ განმარტავთ ღირსეული ადამიანის ცნებას?

— ღირსეულ ადამიანად მიმაჩნია თავისი ქვეყნის, ერის პატრიოტისმცემელი მშრომელი კაცი, რომელიც შორსა დგას მედიდურობისა და პირმოთნეობისგან.

— რა მიგაჩნიათ ადამიანთა ურთიერთობის ძირითად საფუძვლად?

— სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა. მაშინაც კი, როცა გამომძიებელი დანაშაულს იკვლევს, ან მოსამართლე ბოროტმოქმედს სასჯელს ადებს, იგი უნდა გრძნობდეს, რომ მის წინაშე ადამიანია, და რომ ამ ადამიანს ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება, სითბო და სიყვარული. მხოლოდ ამ პირობით მიაღწევს მართლმსაჯულება მიზანს — დამნაშავის გაკეთილშობილებას და საზოგადოებისათვის პატიოსან კაცად დაბრუნებას.

რ. მუხიგულაშვილი.

დიდი ლენინის საიუბილეოდ

ვერა ემზადება

ლენინგრადი, 2 თებერვალი. პერუში შეიქმნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ზეიმისათვის მზადების ორგანიზაციული კომიტეტი. მის შემადგენლობაში შეივიდნენ ქვეყნის მთელი რიგი პროგრესული პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე მრავალრიცხოვანი მასობრივი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და ადგილობრივების წარმომადგენლები.

კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს პერუს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ორხე დელ პრადო.

კომიტეტი შეუდგა ამ საგულისხმო თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებათა, კერძოდ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციების, თემატიკური საღამოების, კონკურსების მზადებას, გათვალისწინებულია აგრეთვე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კინოფილმების დემონსტრაცია, ლენინის შრომების გამოფენათა მოწყობა და იმ ექსპოზიციების ორგანიზაცია, რომლებიც ობიექტურად მასალებით ასახავენ მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებებს.

ოლიმპიადა

ეროვნული

ქმნა მართლისა, სამართლისა...

ლანჩხუთი

მეფრინველეობის ფაბრიკა

მწყობრში ჩადგა მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც უახლესი მანქანა-დანადგარებით არის აღჭურვილი. მეფრინველეებს საუკეთესო პირობებში უხდებათ მუშაობა. მეათე ხუთწლეულის დამამთავრებელ წელს ლანჩხუთელი მეფრინველეები ქვეყანას მისცემენ 2 მილიონ 700 ათას ცალ კვერცხს და 400 ცენტნერ ფრინველის ხორცს.

ცენტრი სახეს იცვლის

კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს ლანჩხუთის ცენტრის დასამშვენებლად. რეკონსტრუქცია გაუკეთდა ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანს, სადაც უკვე დამთავრდა მოედნის სანაპირო ქუჩის მოპირკეთება. დაიწყო და ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სადგურის მოედნისა და ქალაქის ერთადერთი პარკის რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომელიც უახლოეს დროში დამთავრდება.

ახალი მექანიზებული საამქრო

სოფელ სუფსის მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოში ახლახან მწყობრში ჩადგა პირუტყვის სრულფიფიანი საკვების გრანულირებისა და დაბრიკეტების მექანიზებული საამქრო. იგი კვლაში გამოუშვებს 15 ტონა საუკეთესო ხარისხის ყუთიან საკვებს. საამქრო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით არის აღჭურვილი.

საბაგირო გზა „ჩიტიას“ გორაზე

სოფელ აცანის ერთ-ერთ მაღალ გორაზე „ჩიტიაზე“ საკოლმეურნეო წყობილების გარიჟრაჟზე, 1929-30 წლებში კოლმეურნეებმა პირველი ბარი დაჭრეს და ჩაის პლანტაცია გაშენეს. ახლა აქ რამდენიმე ათეული ჰექტარი უხვმოსავლიანი პლანტაციაა, მაგრამ მისი მოვლა-პატრონობა ძნელ პირობებში უხდებოდათ აცანელ მეჩაიეებს. ამას წინათ ძვირფასი საჩუქარი მიიღეს აცანელებმა, ტელმანის უბნიდან „ჩიტიას“ გორამდე გაიხსნა საბაგირო გზა. მისი სიგრძე 1080 მეტრია და 190 მეტრ სიმაღლეზეა გაბმული.

ბ. ჩხაიძე.

გვატყობინებენ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტები

საოლქო ბიბლიოთეკა

არჩევნების წინ ცხინვალელებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს — საოლქო ბიბლიოთეკა გადავიდა ახალ, თანამედროვე კეთილმოწყობილ შენობაში.

— ახლა ჩვენს განკარგულებაშია ვრცელი სამკითხველო დარბაზი, წიგნთსაცავები, კაბინეტები. ერთი დარბაზი განკუთვნილია იმათთვის, ვისაც ჟურნალ გაზეთის წაკითხვა სურს, — გვეუბნება ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მ. დოიჯაშვილი. — აქ შეგიძლიათ ისარგებლოთ მრავალი დასახელების ჟურნალ-გაზეთებით. მეორე დარბაზი გამოყოფილია იმათთვის, ვინც მეცნიერულ მუშაობას ეწევა, ან გამოცდებისათვის ემზადება. მათს განკარგულებაშია 200 ათასზე მეტი ტომი — მეცნიერულ-პოპულარული, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.

ბიბლიოთეკაში გაიხსნა ახალი სამეცნიერო-მეთოდიკური განყოფილება, აგრეთვე საზღვარგარეთული ლიტერატურის განყოფილება. ნათელ სამკითხველო დარბაზში მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, აქვე ეწყობა საუბრები, შეხვედრები ამომრჩევლებთან. ამ კოლექტივსაც ხვდა პატივი — ცხინვალის საქალაქო საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად დაეხახელებინა თავისი თანამშრომელი აზა თიბილოვა.

ახლა ბიბლიოთეკაში დიდი ფუსფუსია. სამწუხაროდ მის მუშაკებს უხდებათ მშენებელთა ხარვეზების გასწორება.

გ. თედეევი.

თეატრი—სოფლის მშრომელებთან

ყვარლის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრი აქაური მკვიდრის, თეატრალური ხელოვნების დიდი კოინოფეს კოტე მარჯანიშვილის სახელს ატარებს.

კულტურის სახლის მუშაკები მუდამ ცდილობენ საქმით დამტკიცონ დიდი წინაპრის სიყვარული. ისინი მდიდარი რეპერტუარით ხშირად მართავენ გასვლით წარმოდგენებს როგორც ყვარლის, აგრეთვე მეზობელი რაიონების სოფლის მშრომელებისათვის.

დ. გერგიშვილი.



დედაქალაქის საკონცერტო დარბაზებში

ჟღერს სიმფონია

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულმა სიმფონიურმა კონცერტმა მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შესრულდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, კომპოზიტორ სულხან ნასიძის ახალი სიმფონია „დალაი“.

ს. ნასიძემ ბოლო წლებში ზედიზედ რამდენიმე საყურადღებო სიმფონიური ნაწარმოები შექმნა, რომლებმაც მას ფართო აღიარება მოუპოვა. მისი ახალი სიმფონიაც ამ კანონს უდავოდ ჩინებული მონაპოვარია.

სიმფონიის მუსიკა გამოირჩევა მდიდარი თემატიზმით, რომლის მრავალსახოვანი გარდასახვაც ხდება განვითარების პროცესში. ამ ერთნაწილიან სიმფონიაში ერთმანეთს უპირისპირდებიან მრისხანე, აღგზნებული, სამგლოვიარო, ნათელი სახეები; დიდი დამსახურება მიუძღვის ახალი სიმფონიის რთული პარტიტურის გახსნაში საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატს დირიჟორ ჯ. კახიძეს.

კონცერტზე დიდი ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭა აგრეთვე შეხვედრამ საქართველოს სსრ სახალხო არტისტთან პიანისტ თენგიზ ამირეჯიბთან. ბეეთოვენის ტემბრული პალიტრის სიმდიდრე, რომანტიკული პათოსი, არტისტიზმი — აი პიანისტის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები, რაც კარგად გამოვლინდა მის მიერ შესრულებულ ვებერის კონცერტშტიუკში ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის და ლისტის ფანტაზიაში უნგრულ ხალხურ თემებზე.

ნ. მამისაშვილი,
მუსიკისმცოდნე.

✦✦

სურათზე: ჯ. კახიძე. ს. ქილაძის ფოტო.

დრო, ამბები, მოვლენები

□ გამოსცა „სოვეტსკი პისატელ მა“ □ მწერლები „მრგვალ მაგიდასთან“ □ დაკარგული ფოტოსურათები □ საბჭოთა ტრანსპორტის გახსენება □ სპორტული ცხოვრების ქრონიკა





„საქართველოს“ საიუბილეო...

გამომცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზში ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის სასახლის რესპუბლიკური ფოტოკლუბის „საქართველოს“ საიუბილეო გამოფენას, რომელიც ეძღვნება საბჭოთა ფოტოგრაფიის მე-60 და ფოტოკლუბ „საქართველოს“ მე-10 წლისთავს.

საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილია 72 ავტორის 200-ზე მეტი ნამუშევარი. აქ დამთვალიერებელი გაეცნობა მაღალმხატვრულად შესრულებულ პორტრეტებს, პეიზაჟებს, ჟანრულ, რეპორტაჟულ და ექსპერიმენტულ ფოტოგრაფიას.

საგულისხმოა, რომ „საქართველოს“ საიუბილეო გამოფენიდან შერჩეული საუკეთესო ნამუშევრები ნაჩვენები იქნება იტალიაში — რომში, მილანსა და ფლორენციაში.

სურათები ფოტოკლუბ „საქართველოს“ საიუბილეო გამოფენის ექსპოზიციიდან: „სამეორეს კოშკები“ (მისი ავტორი ე. ზარიძე) — იმ ახალგაზრდა ფოტომოყვარულებს განეკუთვნება, რომლებიც პირველ სერიოზულ ნაბიჯებს ახლა დგამენ ფოტოხელოვნებაში); „მაპაის ცოლები“ (ავტორი — არაერთი გამოფენის მონაწილე და ლაურეატი ზ. დათუაშვილი).

ELIBRARY.GE

მასპინძლობდა ბაქო

გაზეთმა „ლიტერატურნაია გაზეტამ“ აზერბაიჯანის მწერალთა კავშირთან ერთად ბაქოში მოაწყო „მრგვალი მაგიდა“, სადაც გაიმართა სჯა-ბაასი დღევანდელობის: „განვითარებული სოციალიზმის ეპოქის საბჭოთა საზოგადოების სულიერი და მორალური ღირებულებანი და თანამედროვე ლიტერატურის გმირი“.

განხილვაში მონაწილეობდნენ ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომელთა შორის საქართველოდან იყვნენ კრიტიკოსები გ. გეგრიდელიანი, ზ. აბზიანიძე, ამ სტრიქონების ავტორი.

ლიტერატორებმა მრგვალ მაგიდასთან ისაუბრეს „საწარმოო რომანის“ კონფლიქტის ტრადიციულობაზე, სოფლის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა ზნეობრივ პრობლემატიკაზე, ინტერნაციონალიზმის თემაზე და ა. შ.

მუშაობის დამთავრების შემდეგ ბაქოს მუსლიმ მაგომაევის სახელობის ფილარმონიის დარბაზში გაიმართა პოეზიის დიდი ინტერნაციონალური საღამო, რომელიც გახსნა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ი. ალყმოვმა და საზოგადოებას წარუდგინა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩასული პოეტები.

დარბაზი სულგანაბული უსმენდა ორიგინალის ენაზე წარმოთქმულ პოეტურ ნიმუშებს და მათ თარგმანებს.

ლ. ერაძე.

რეკლამა

ახალი ათონის „სახსოვარი“!

...ვინ აღარ ეტანება ახალი ათონის სახელგანქმულ მღვიმეს — მილეთის ხალხი ჩაივლის დღის მანძილზე მის ზღაურულ დარბაზებში. „უცნაურია“ ადამიანი, მარტო თვალით ნახან და განცდილს როდი სჯერდება, სახსოვარიც უნდა რაიმე, სახსოვარი, რომელიც მოაგონებს ათონის ზღაპარს!...

არ გეგონოთ მკრეხელობას ვგულისხმობდეთ, არა, ეს სახსოვარი ყველაზე უვნებელი და სასურველია!

ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში, სადაც გაქვავებული ჩანჩქერის ცქერით ტკბება ადამიანი, უეცრად გაიგონებთ გაფრთხილებას — შეხდექით!

ხომ არ შეშინდით? (არც ეს არის გამორიცხული). მალე გაირკვევა, რომ ეს ფერადი ქოლგის ქვეშ მდგომი ახალგაზრდა კაცის ხმაა, იგი გთავაზობთ მიწისქვეშა სასახლეში ფერადი სურათის გადაღებას და, ცხადია, ამ მოულოდნელ სიამოვნებაზე უარს არავინ ეტყვის.

— ჯგუფი 34-ე, — აზარტულად აცხადებს ფოტოგრაფი, — დაიხსომეთ, ჯგუფი 34!

— დავიხსომეთ და დღემდე გვახსოვს, მაგრამ მერე რა?!

ახალ ათონში გადაღებულ ფერად ფოტოებს, რომლის საფასურსაც გამოსვლისას ჩინებულად გაწყობილ ბიუროში იხდით, კონვერტზეც თქვენივე ხელით აწერთ საკუთარ მისამართს და მზამზარეულად უტოვებთ მასპინძლებს ორი თვის მანძილზე სურათის მიღების იმედით, დღესაც ელიან არათუ საქართველოში, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოსული ადამიანები, ელიან თვით ჩუკოტკაზე!

მართალია, ეს ამბავი გუშინდელი და გუშინწინდელი არ არის, აგვისტოს მიწურულში მოხდა და მაინც „გავუხანგრძლივეთ“ ვადა ახალი ათონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კანტორას, მაგრამ ამაოდ!

შესაძლოა ფირი გაფუჭდა, მაშინ თუ თანხის დაბრუნება არა, თავაზიანი პასუხი მაინც ხომ უნდა მოეფიქრებინა „ფირმას“, მით უფრო, რომ ყველა მისამართი ხელთ ჰქონდა. სხვა ჯგუფებიც გაწბილებულნან.

ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ — ახალ ათონში ლაკობას ქუჩა № 70-ში გაგვეგზავნა პირდაპირ წერილი თუ გაზეთში მოგვეთავსებინა, მაგრამ, რომ გავიხსენეთ, რამდენად გადატვირთულნი იყვნენ თავიანთი გაფაციცებული საქმითნობით ფოტოფირმის თანამშრომლები, — ალბათ ბარათის გასახსნელადაც ვერც მოიცლიდნენ, გაზეთს კი თვითონ თუ არა, სხვა მაინც წაიკითხავს და ამბად ეტყვის უყურადღებობით შეურაცხყოფილ, გაწბილებულ დამთვალიერებელთა საყვედურს.

პასუხს კი მათთან ერთად რედაქციაც დაელოდება.

ნ. საყვარელიძე.

მივიწყებული ხელობის ოსტატები

უკანასკნელი მეფვაეტონე?

ინდუსტრიის საუკუნემ არნახულად აიჩქარა ეპოქის მოძისაკენ, დაძაბუნმა, ფანტასტიკურმა გეგმებმა შრომის სწრაფი რიტმი მოითხოვა და ადამიანიც ელვის სისწრაფით ჭქმნის, ფიქრობს, მეჭქრის...

ამჟამად მოსკოვის, გორკისა და ტოლიატის ავტომაქანნების კონვეიერებიდან ყოველწლიურად ათიათასობით „ვოლგა“, „ჟიგული“, „მოსკვიჩი“ გადმოდის. მათთან ერთად მსოფლიო ტრასებზე დაჭქრის უამრავი „ფორდი“ და „მერსედესი“, „შევროლეტი“ და „ტოიოტა“. „ალფა-რომეო“ და „როლს როისი“. ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რომ ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში აზირებულმა ადამიანებმა საწვავის წინაღმდეგ გაჭირვების პროტესტის ნიშნად მანქანაში ცხენებიც შეაბეს...

დიახ, ასეა, მაგრამ აღარსად ჩანს ცხენშებმული ეტლი და ფაეტონი, „კონკა“ და დილიჟანსი. თითქოს ყველაფერს რა ადვილად ეგუება და ავიწყებს ეპოქა... დღეს, როცა რომელიმე ქუჩას გადაკეტავენ და კინოგადაღებების წინ ამ ძველებურ ტრანსპორტს გაატარებენ ხოლმე, რატომღაც გარდასულ დროთა საოცრების მომსწრე გვგონია თავი.

დიახ, ყველაზე მეტად მაინც კინოს აქვს სიძველეთა გახსენების, მისი შემონახვის საშუალება. ალბათ, ამიტომაც სწორედ „ქართული ფილმის“ კინოსტუდიაში მუშაობს ის ერთადერთი ოსტატი თემურ ჩაჩავა, რომელმაც გააცოცხლა საქალაქო ტრანსპორტის აგების მივიწყებული პროფესია.

პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე სახელმწიფო თავლასთან მეზობლობამ ბავშვობიდანვე შეაყვარა ცხენი. (ოტა რომ წამოიზარდა, დიდუბის საცხენოსნო სკოლას ეწვია, საიდანაც 1941 წელს, სკოლის სხვა მოსწავლეებთან ერთად, კინოფილმ „გოიერგი საკაძის“ გადაღებაზე მიიწვიეს.

1966 წელს კინოსტუდიას მხატვრულ ფილმ „ქოჩორასთვის“ დილიჟანსი დასჭირდა. ფილმის დირიჟორს გიგი კაჭარავას მაინც დამაინტ თემურ ჩაჩავასთან ერთად ეძებდა მისი აგება. დილიჟანსი ნანახი კი არა, ხელირიანად წარმოდგენილიც არ ჰქონდა თემურს, მაგრამ მოწადინებულ კაცს ბევრი უფიქრია და უძებნია. საქმეში გართულს აკაკი ქვანტარიანი წამოსდგომია თავს. რამდენიმე შენიშვნა და რჩევა მიუცია და უთქვამს — რა გეკვირს, მამაჩემი მეეტლე იყო, მიზედ მაგ საქმეს, კარგად ისწავლე, ამ ხელობას პატრონი აღარ ჰყავს და მალე დიდად საჭირო გახდებიო.

იმ დღიდან უფრო მეტი სიყვარულით მოეკიდა საქმეს. მოინახულა ძველი ხელოსნები, მოძებნა შესაბამისი ლიტერატურა.

პირველი ნამუშევარი კარგი გამოუვიდა და მერე ამ უნიკალური ტრანსპორტის სხვა სახეობებმა დაიინტერესა.

სულ მოკლე ხანში თემურ ჩაჩავამ „არმენფილმის“ შეკვეთით ააგო ბალდახინი, „ლენფილმისათვის“ — კარეტა, სტილევეზონი ფილმისათვის „ორერა, სრული ლილთან“ — ეტლი. ფილმებშიც „ვერის უბნის მელოდიები“ და „ფიროსმანი“ სწორედ ჩაჩავასეული კარეტები და ეტლები, ორთვალები და ბალდახინები გამოიყენეს.

თანდათან მრავლდებოდა შეკვეთები და ოსტატს „ნასესხები“ ადგილი აღარ ჰყოფნიდა. ამიტომაც 1977 წელს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირიქციამ უნიკალური ტრანსპორტის უბანი შექმნა, რომლის ხელმძღვანელობა თემურ ჩაჩავას მიანდეს.

თანდათან იეწყო საქმე. კინოსტუდიამ მოსახლეობისაგან შეისყიდა ძველი უვარგისი ეტლები და ფაეტონები, კარეტები და ორთვალები. დაიწყო მათი რესტავრაცია, პარალელურად კეთდება ახლები..

„ჩემი აზრით, ყოველი ჭეშმარიტი თბილისელის სულში ძველი თბილისელიც სახლობს, — ამბობს თემურ ჩაჩავა. — და ამიტომ არც მიკვირს, რატომ უყვართ ჩვენს ქალაქში „თადარიგში“ გასული ეს „ტრანსპორტი“. ერთ ასეთ შემთხვევას გავიხსენებ: მეტეხიდან ვბრუნდებოდით. შემხვედრმა მანქანამ ძალზე ახლო ჩაგვიქროლა, ცხენები დაფრთხნენ და შესაბმული ძალი გაჩეხეს. ეტლმა მანევრირების საშუალება დაკარგა და „ჟიგულს“ შეეჯახა. ერთ ცხენს ფეხი დაუზიანდა, სისხლმა თქრიალით დაუწყო დენა. არ ვიცი, მანქანას რომ შეჯახებოდა მაშინ რას იზამდა „ჟიგულის“ მძღოლი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენთან რომ მოირბინა და დასისხლიანებული ცხენი ნახა, უკან გაბრუნდა, ბაბმისა და ბინიის მთელი შეკვრა მოგვიტანა და მხოლოდ ამის შემდეგ, უხმოდ მიხედა თავის მანქანას. სახელიც კი არ უთქვამს, ისე წავიდა... ხანდახან ისიც მიფიქრია, თავლის გასახარად ერევანში და ბაქოში თუ დაიარება ეს „მივიწყებული ტრანსპორტი“, თბილისმა რა დაავაკა-მეთქი. თუნდაც მხოლოდ შაბათ-კვირას რა დიდ სიხარულს მოუტანდა იგი თბილისელებს. ალბათ, არც ის იქნება ურიგო, ქორწინების სახლთან „ჩაიკეტებთან“ და „ოლგეგუბანთან“ ერთად ფაეტონები და ეტლებიც რომ იდგნენ.

მოსაწონი აზრია... თუმცა ჯერ კიდევ ბევრი წინააღმდეგობაა მისი განხორციელების გზაზე. ახლა, როცა რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა ესოდენ ზრუნავს თბილისის ძველი კოლორიტის, მისი ისტორიული ყოფის ამსახველი ძეგლების, ეთნოგრაფიული ნიმუშების შენარჩუნებისათვის, ვფიქრობთ, არც ეტლი და ფაეტონი უნდა გავრიყოთ. მწვანე გზა მივცეთ მათ დედაქალაქის ძველ უბნებში, რომ სუნთქრამ, სხვა თუ არაფერი, თბილისის დღევანდელობასთან ერთად მისი გარდასული სუნთქვა და სითბოც იგრძნოს.

ბ. პაპუაშვილი.

✦✦

სურათზე: თ. ჩაჩავა პონების ეტლთან.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ფიქრები ფიგნეზე და მის ავტორზე

ამბავი ერთი ცხოვრებისა

ეს რეცენზია არ არის, თუმცა იმის საბაბი მაინც გვაქვს, რომელიც რეცენზიის საფუძველი ხდება ხოლმე; ამ შემთხვევაში ეს წიგნი. გახლავთ.

გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელმა“ გამოუშვა ბ. პაპაიშვილის „ცხოვრებაში დაბრუნება“ (მოსკოვი, 1979 წ.) ეს ფაქტი, უდავოდ, სასიხარულო მოვლენაა: მანამდე იგი თბილისში გამოვიდა ქართულ და რუსულ ენებზე, ერევანში — სომხურად, და ყოველთვის „ცხოვრებაში დაბრუნებას“ შესაფერი ბედი ჰქონდა — წიგნი დაუყოვნებლივ ქრებოდა დახლიდან, თუმცა მას სრულიადაც ვერ მივაკოფთვნებთ, ასე ვთქვათ, გასართობ ლიტერატურას. ეს არის მკაცრი და მართალი, ინტონაციურად თავშეკავებული და, ერთი შეხედვით, საგანგებოდ პირდაპირი: ავტორის დამოკიდებულებით ადამიანებისა და მათი ცხოვრებისეული პოზიციებისადმი, შეფასებებითა და ემოციებით. და მაინც მსუბუქად, შეუნელებელი ინტერესით იკითხება, გვიტაცებს ბუნებრიობით და სიტუაციათა გულწრფელი დრამატიზმით.

და ამიტომ გვინდა გავიმეოროთ — მოსკოვში ამ წიგნის გამოსვლა მართლაც დიდი და სასიხარულო მოვლენა იქნებოდა ავტორისათვის, მისი მკითხველებისა და მეგობრებისათვის, სამწუხაროდ, იგი „გორგი პაპიაშვილის უკანასკნელი წიგნი რომ არ გამხდარიყო. ავტორი „ცხოვრებაში დაბრუნების“ ანაბეჭდებს ამოწმებდა და ეს იყო მისი უკანასკნელი წაკითხვა... სიკვდილი ყოველთვის უაზრო და მოულოდნელია, რადგან, რაც უნდა იყოს, ყოველთვის ნიშნავს: იყო კაცი და აღარ არის კაცი... მაგრამ როცა კვდება კაცი, რომელიც შემოქმედებითი გაფურჩქვნის, დავაკაცების ხანას განიცდის, როცა კვდება კაცი, რომელმაც ომის საშინელებანი გამოიარა, რომელიც არარეთხელ ბეწვზე გადარჩენილა სიკვდილს, ეს მწუხარების, პროტესტის, აღშფოთების განსაკუთრებით მწვავე გრძნობას ბადებს ხოლმე.

გიორგი პაპიაშვილს — მეომარსა და მწერალს, ჟურნალისტსა და ჩეკისტს, დრამატურგსა და მოშაკს, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე რთული და პასუხსაგები სამუშაოები ებარა, დიდხანს და საკმაოდ კარგად ვიცნობდი. ეს იყო საოცრად ნებისყოფიანი პიროვნება. მასში ყოველივე უაღრესად ჰარმონიულად იყო შეზავებული: ძველი ჯარისკაცის მოჩვენებითი უხეშობაც, რომელმაც კარგად იცოდა სიკვდილ-სიცოცხლის ფასი, ერთგულების, მოვალეობისა და იდეის ფასი; უსაზღვრო სიკეთეც, რომელიც მოდამ გამოსჭვიოდა მის ძალზე ტანიერულ, ბავშვურად ნათელ თვალებში; დიდი შინაგანი ძალაც, რომელიც შერწყმული იყო სულიერ სიფაქიზესთან და გულისხმიერებასთან; და ყოველგვარ ფფიქტაციას მოკლებული პრინციპულობაც, შეურიგებლობა ყოველი ჯურის უპატიოსნობისადმი, წარილმანობისადმი, სულმოკლეობისადმი; უყვარდა ხუმრობაც და სიცილიც, სიხარულის და დარდის გაზიარებაც...

წიგნად ვერ გამოდგება ყოველი კაცის ცხოვრება, რაგინდ საინტერესო, ძნელი და მოვლენებით აღსავსეც უნდა იყოს იგი. მაგრამ ვერც ერთი მწერალი ვერ მოგვითხრობს ასეთ ბედზე (მე ვგულისხმობ ნამდვილ თხრობას), თუ თვითონ არ განუცდია ყოველივე ის, რის შესახებაც წერს. თუნდაც — წარმოსახვით.

გიორგი პაპიაშვილს არაფერი არ გამოუგონია, როცა პატარა გოგზე წერდა, — „ცხოვრებაში დაბრუნება“ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია.

გიორგი პაპიაშვილმა თავი გაართვა მას არა მარტო იმიტომ, რომ თვითონ განიცადა ყველაფერი, რაც მის გმირს დადაუტანია, არა მარტო მწერლური ნიჭის მეოხებით. ეტყობა, მას უნდა გაევლო მთელი ის ძნელი გზა, რომელიც მოთხრობაში სახიფათო დაზვერვის ბეღნიერი ბოლოთი (ამას სულ რამდენიმე სტრიქონი ეძღვნება) და მშვიდობიან ცხოვრებაში პერსონაჟების დაბრუნებით მთავრდება.

წერა უსიხარულო ბავშვობაზე, ხეტიალსა და გაჭირვებაზე, ნაღველსა და დარდზე, რომელიც განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება ყმაწვილს (რამეთუ ათითორმეტი წლის ბავშვი განსაკუთრებით გულჩვილი და უმწეოა), ყოველთვის სახიფათო გზაა მწერლისათვის. ამ თემამ შეიძლება მელოდრამამდე და სენტიმენტალურ ცრემლებამდე მიგვიყვანოს.

„ცხოვრებაში დაბრუნების“ ავტორმა თავი დააღწია ამას. და არა მარტო იმიტომ, რომ თვითონ გამოიარა ჯოჯოხეთის ყველა კარი, თავის გმირთან ერთად გამოიწრთო, დავაკაცდა და გაიმარჯვა უთანასწორო ბრძოლაში.

„ცხოვრებაში დაბრუნება“ უპატრონო ბიჭუნას ოდისეის ჩარჩოებით არ შემოიფარგლება. მოთხრობაში თვალწინ წარმოგვიდგება ოციანი წლების დამლევ — ოცდაათიანი წლების დამდეგის თბილისი. მკითხველი ხვდება იმდროის ტიპურ წარმომადგენლებს, როცა უცნაურ კალეიდოსკოპში იყო აღრეული წარსული და ახლად ჩასაბული, როცა ჯერ კიდევ მჩქეფარე ცხოვრებით ცხოვრობდა (უფრო სწორად, სხვებსა და საკუთარ თავს აწმუნებდა ამაში) ჩასუქებული მედუქნეებისა და „ყოვლისმკურნალი“ ექიმმაბაშების, ქურდებისა და სხვა ბნელი პირების, თავზეხელაღებული მოქიფეფეებისა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალების სამყარო, რომელიც „კოლორიტის“ მოყვარულთა მართლაც ძვირი თბილისი ეგონათ. სინამდვილეში კი სულ სხვანაირი იყო ჩვენი ქალაქი — მშრომელების, თავიანთი დამოუკიდებლობით ამაყი ხელოსნების ქალაქი, რომლებიც ოფლით შოულობდნენ ლუკმაპურს, ისეთ მარადიულ ღირებულებათა მშვენიერი ტრადიციების თაყვანისმცემი ქალაქი, როგორიც არის დედა ქალის, ნამუსიანი შრომის, ოჯახური კერის კულტი, უფროსთა პატივისცემის, ზნე-ჩვეულებების, მამა-პაპათაგან შექმნილი დაუწერელი ბრძნული კანონების ერთგულების კულტი.

„ცხოვრებაში დაბრუნება“ ფრიად მნიშვნელოვანია სოციალური თვალსაზრისითაც: ეს მოთხრობა, უდავოდ, დიდ როლს შეასრულებს ყმაწვილი მკითხველის ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, იგი თავით ბოლომდე გამსჭვალულია მოქალაქეობრიობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ჭეშმარიტად ამაღლებული (და არა ყალბი) პათოსით.

შემთხვევითი როდია, რომ უსახელო ბიჭუნა ქუჩას გამოჭედილა არა სხვა ვინმეგ, არამედ წითელმა მხედართმთავარმა გენერალმა ლესელიძემ, რომელმაც შემდეგ სახელი მოიხვეჭა დიდი სამამულო ომის წლებში, ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე, უჭკნობი ფურცელი ჩაწერა მის ისტორიაში. ეს შესანიშნავი მხედართმთავარი მოთხრობაში სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება, ვიდრე ჩვენ მივეჩვიეთ: ეს ბავლავთ უბრალოდ კეთილი და გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც არ ძალუძს გვერდი აუაროს უმწეოდ დარჩენილ ბავშვს.

„ცხოვრებაში დაბრუნებას“, უდავოდ, ინტერესით გაეცნობა რუსი მკითხველი, რომელსაც სურს რაც შეიძლება მეტი და უკეთ იცოდეს ჩვენი რესპუბლიკის წარსულზე, მისი პირველი ხუთწლედების გარიჟრაჟზე, ჭაღარა თბილისზე, რომელმაც ძველთაგანვე მიიპყრო სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში შობილი ადამიანების ყურადღება.

ეს წიგნი სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია მივიჩნიოთ მწერლური პატიოსნების, ხელოვნის სოციალური გულწრფელობის ნიმუშად, მას საფუძვლად უდევს ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობა, სამშობლოს და ხალხის წინაშე მოვალეობის ნათელი შეგნება; ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული და მისი მომავლისთვის ზრუნვა.

ვ. ოსინსკი.



მხატვარი ბ. ფირცხალავა.



მხატვარი ბ. ლომაძე.

სატირის ფუნჯით

● ამბობენ, ახალი ტალღა მოდიხო... ღმერთო, ვინ ამაცილე პარტიული სასჯელი...

● ქრისტე ვი ვეცხლად... (ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებთან ხშირად ნახავთ ასეთ სურათს).

მხარს უჭერენ

ბონიდან (გფრ) მოვიდა ცნობა, რომ მაინის ფრანკფურტში გაიმართა გფრ-ის, იტალიის, ბელგიის, ნორვეგიის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის, ინგლისის, შვეიცარიის, ისლანდიისა და დანიის ერთობლივი ოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირი, შეკრების მონაწილეებმა მიიღეს კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ დასავლეთ ევროპის 10 ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები მხარს უჭერენ მოსკოვის ოლიმპიადაში თავიანთი გუნდების მონაწილეობას. აღნიშნული თათბირი მოწვეული იყო გფრ-ისა და იტალიის ინიციატივით.

6 : 3

თბილისიდან ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი ტაშკენტს გაემგზავრა და იქ გამართა ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა ნაკრებთან. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 6:3.

ოქრო საგზურისათვის

კოლუმბიაში გრძელდება სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელთა 7 გუნდის შერჩევითი ტურნირი მოსკოვის ოლიმპიადის 2 საგზურისათვის. არგენტინის ოლიმპიურ ნაკრებს, რომელსაც ხელმძღვანელობს სეზარ ლეონ მენოტი, 2 მატჩის შემდეგ 4 ქულა აქვს. 4-4 ქულა აქვთ ბრაზილიელებსა და ალოუმბიელებსაც, მაგრამ მათ უკვე 3-3 შეხვედრა გამართეს. მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეთაგან ჯერჯერობით ცნობილია 3 ქვეყანა: სსრ კავშირი, გდრ და ნორვეგია.

ოლიმპიიდან — მოსკოვამდე

ხუთი ათასმა მეჩიროადნემ 4981 კილომეტრი უნდა დაფაროს ოლიმპიური ცეცხლით ძველბერძნული ოლიმპიის ტაძრიდან მოსკოვამდე. ამ მანძილის გავლა დაიწყება წლეულს 18 ივნისს და დამთავრდება 19 ივლისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ლუჟნიკის ცენტრალურ სტადიონზე. საბერძნეთის ზღვაზე მეჩიროადნენი გაიელიან 1170 კილომეტრს, ბულგარეთში—920 კილომეტრს, რუმინეთში — 593 კილომეტრს, ხოლო საბჭოთა კავშირში — 2298 კილომეტრს.

ციფრები და ფაქტები

მოსკოვის ოლიმპიადის წინა წელს მარტო ოლიმპიურ სახეობებში საბჭოთა სპორტსმენებმა მსოფლიო ჩემპიონატებში 39 პირველი ადგილი დაიკავეს, 28 — მეორე და 19 — მესამე; ევროპის ჩემპიონატებში — შესაბამისად 40,22 და 10. საბჭოთა ათლეტებმა 1979 წელს დაამყარეს 145 საკავშირო რეკორდი, მათგან 50 — მსოფლიო რეკორდებზე უკეთესი მაჩვენებლით. ყველაზე მეტი რეკორდი დაამყარეს მშვილდოსნებმა — 37 (აქედან 9 მსოფლიო რეკორდზე უკეთესი).

ტელევიზია

3 თებერვალი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი კრენგოლმი“. (ფ.), 10.00 — შვეი